[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კროპოტკინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: სარედ.—დარის 14—76. სტამბის—გამგ.—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 5 ივლისი 1921 წ.

№ 100 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 100

თბილისი. ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროფკავშირების პლენუმის სხდომა,

რომელიც ვერ შესდგა 28 ივნისს და 1 ივლისს, ქვორუმის გამოუცხადებლობის გამო, შესდგება დღეს, სამშაბათს, საღამოს 6 საათზე. ფაბრკომების, ქარხკომების და ადგკომების დასწრება სავალდებულოა.

**დღის წესრიგი:**

1) მუშათა კოოპერატივები.
2) მოხსენება პროფკავშირების საქალაქო კონფერენციის შესახებ.
3) მოხსენება რუსეთის პროფკავშირთა მე 4 ყრილობის შესახებ.
4) მასწავლებელთა კავშირზე.
5) მიმდინარე საქმეები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

## ცენტრი და პერიფერია.

ცენტრს და პერიფერიებს შორის დამოკიდებულების საკითხი ყოველგვარი ორგანიზაციის ძირითადი საკითხია.

ხშირია შემთხვევა, როცა ცენტრში ერთი კეთდება, ხოლო პერიფერიაში სხვა და ეს მომაკვდინებელი ლახვარია ყოველი ორგანიზაციისათვის.

ამ მხრით მეტად სამწუხარო ამბებს გადმოგვცემენ პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგები, რომლებიც პირდაპირ მოითხოვენ განმტკიცებულ იქნას მჭიდრო კავშირი ცენტრსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის.

და ეს ითქმის არა მარტო ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებზე, არამედ სახელმწიფოებრივზედაც.

ცენტრალურ რევკომსა, საქართველოს რევოლიუციურ კომიტეტსა და ადგილობრივ რევოლიუციურ კომიტეტებ შორის დღემდე ვერ დამყარებულა სასურველი სრული კონტაქტი.

ჩვენი მმართველობის მთავარი პრინციპი ეს მშრომელი ხალხის მიერ საკუთარი საქმეების მართვა-გამგეობაა, ხალხის თვითმპყრობელობაა.

თუ ადგილობრივი მასა ერთნაირათ სჯის, ერთნაირათ გრძნობს, ხოლო ცენტრალური მმართველობა კი სხვას, წინააღმდეგს ფიქრობს, ცხადია, მაშინ ორგანიზაციულ მუშაობას საფუძველი ეცლება და დაწყებული საქმე ჩაიშლება.

ამნაირ ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპი განუხორციელებელი დარჩება.

წვრილ წარმოების ქვეყანაში, მაგალითად ჩვენში, ქალაქის მუშა რომ ერთნაირ პოზიციაზე დგეს, ხოლო სოფლის მწარმოებელი, გლეხი სხვანაირზე და მათ შორის აშკარა უთანხმოება გამწვავებული ჩამოვარდეს, მაშინ ვერავითარ მუშურ გლეხურ მთავრობას სახელით არ შეუძლია საქმითაც მუშურ-გლეხური დარჩეს. და ეს იმიტომ, რომ უთანხმოება განხეთქილება კლასებ შორის ჩამოვარდნილი გადავა მათ გამომხატველ მთავრობაში და უსათუოდ იქაც ისეთსავე უთანხმოება განხეთქილებას გამოიწვევს: დეზორგანიზაცია მასსების იწვევს დეზორგანიზაციას მთავრობისას.

სახელმწიფოს კი ასულდგმულებს ერთიანი მტკიცე ორგანიზაცია და სეთი კი მანამდის არსებობს სახელმწიფოში, ვიდრე მისი შემადგენელი კლასები არ აშლიან და პოლიტიკურ ეკონომიურ ასპარეზზე ერთმანეთს არ დატაკებიან და აშკარა ომი არ გაუმართავთ.

სწორედ იმიტომ არის რომ, როცა რევოლიუცია იწყება, ე. ი. კლასთა შორის ომი ჩაღდება, არსებულ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც იშლება, ჰქრება.

დღეს ჩვენში საბჭოთა რესპუბლიკა არსებობს, ე. ი. მუშათა და გლეხთა ხელისუფლება არის გამოცხადებული. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებისა და გლეხების ინტერესებ შორის თანხმობა ჰარმონიაა დაცული. და თუ ეს თანხმობა-ჰარმონია არ იქმნა დაცული, ცხადია, ჩვენ შედეგათ რესპუბლიკის სრულ დეზორგანიზაციას მივიღებთ.

და აი ამის თავიდან ასაცილებლად მუშურ გლეხურ თანხმობა ჰარმონიის შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ ერთი რამ. სახელდობრ ის, რომ ცენტრალურ მმართველობასა და ადგილობრივ მართვა-გამგეობის შორის მჭიდრო კავშირი იყოს გაბმული და მათ მათი კომპეტენციაფარგლები ნათლად, აშკარად იყოს კანონით განსაზღვრული.

ეს ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს, ახლო ურთიერთობა უნდა დამყარდეს მმართველ ორგანოებსა და ადგილობრივ მასსებ შორის, რომელთა წარმომადგენლებათ ეს ორგანოები ითვლებიან.

დღეს, ვიდრე ჩვენში საბჭოები არ შემდგარა, ასეთ ორგანოებათ ითვლებიან ყველა რევოლიუციონური კომიტეტები—რევკომები, როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი.

და აი დღესვე უნდა გაიბას კავშირი ამ რევკომებსა და მასსებ შორის: ცენტრალური რევკომი კავშირს იჭერს ერთი მხრით ადგილობრივ რევკომებთან, ხოლო მეორე მხრით ადგილობრივ მასსებთან.

არ კმარა მარტო ოფიციალური მიწერ-მოწერის გამართვა ადგილობრივ რევკომებთან, საჭიროა ცოცხალი, ფაქტიური ურთიერთობა ადგილობრივ მასსებთან და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები ანგარიშს გაუწევენ ადგილობრივ მასსების საჭიროებას, მოთხოვნებს და ეცდებიან დააკმაყოფილონ პირობების და გვარათ. ისინი და გააცნონ პირადი ახსნა განმარტებებით თავიანთი პოზიცია ყოველ წამოყენებულ საკითხში.

თუ აქ აღნიშნული პრინციპი სასურველათ ვერ ტარდება ცენტრის მხრით, ეს მიეწერება არა იმ გარემოებას, თითქო ჩვენი ცენტრი ნაკლებ ყურადღებას აქცევდეს ამ პრინციპს, არამედ—იმას, რომ ამისთვის შესაფერი ძალები დღესდღეობით სამწუხაროთ ჯერ კიდევ არ მოიპოვება.

რაც შეეხება პერიფერიებს, მათი მდგომარეობა ვითარებაა სხვა გვარია. ბევრია მაგალითი იმის, რომ პერიფერიას ცენტრის არ ეყურება და არც ცდილობს გაიგოს. ის ერთგვარ „მემარცხენეობას" იჩენს და სულაც არ უწევს ანგარიშს, თუ როგორ პოლიტიკას ადგას ცენტრი და როგორ ატარებს ამ პოლიტიკას ცხოვრებაში.

ამიტომ პერიფერია ხშირათ წინააღმდეგობაში ვარდება ცენტრთან და დეზორგ ნიზაციულ ნაბიჯებს აკეთებს.

უმეტესათ პერიფერიების ორგანოები ამას იმით ამართლებენ, რომ „მასსა ასე მოითხოვსო".

შეიძლება ადგილობრივი მასსა ჯგუფური ანუ კუთხური ინტერესით იყოს შეპყრობილი და არა კლასობრივით, შეიძლება მისი კუთხური ინტერესი მართლაც მოითხოვდეს „სხვას რასმე", ვ დრე ცენტრი მოითხოვს, რომელიც მთელი კლასის გამომხატველია და წინააღმდეგობა დაიბადოს ცენტრსა და პერიფერიას შორის და ამნაირათ კითხვა წარმოდგეს: ვინაა მართალი: ცენტრი თუ პერიფერია, ვისი გადაწყვეტილება უნდა გატარდეს, ვინ ვის დაემორჩილოს?

არ შეიძლება ითქვას, როგორც ზოგ ცენტრალისტებს ჰგონია, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში პერიფერია უნდა დაემორჩილოს ცენტრს და არასოდეს ცენტრი პერიფერიას.

ჩვენ ვფიქრობთ რომ ბევრია ისეთი კითხვა, როცა ადგილობრივი, კუთხური და ჯგუფური ხასიათისაა, მაგრამ იმავე დროს ადგილობრივი მასის საჭიროება-მოთხოვნის დაკმაყოფილება, კუთხური კითხვით გადაჭრა თანახმათ კუთხური პირობებისა ერთბაშათ აყენებს აღნიშნულ მასას საერთო კლასობრივ დროშის ქვეშ და ამნაირათ მას მთელი რესპუბლიკის საქმის მონაწილეთ ხდის.

აი ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება ცენტრმა ანგარიში გაუწიოს ასეთ ადგილობრივ კითხვებს და დაემორჩილოს ადგილობრივ მუშურ გლეხური მასის მოთხოვნას. ასეთი დამორჩილება არის ნებაყოფლობით დათმობა, რასაც დიდი ნაყოფი მოაქვს ყოველთვის. ასეთივე დათმობა-დამორჩილება მართებს ადგილობრივ მასას და ორგანიზაციას, როცა ცენტრი მისგან ისეთ რასმე მოითხოვს, რაც მის ადგილობრივ, კუთხურ და ჯგუფურ ინტერესებს არ ეგუება, არ ეთანხმება, მაგრამ საერთო კლასობრივი ინტერესიდან კი გამომდინარეობს.

მხოლოდ ერთი უნდა აღინიშნოს აქ: ნებაყოფლობითი დათმობა გამომდინარეობს მისი მნიშვნელობის შეგნებიდან და ასეთი კი სამწუხაროთ შეუგნებელ მასას არ მოეპოვება.

აქედან აუცილებელი ხდება ორში ერთი: ან ეს მასსა ძალით იქნას დამორჩილებული ანდა დაუცადოთ იმ დროს, როცა პირობები ან ცენტრის მეცადინეობა მას შესაფერ შეგნებამდე მიიყვანს.

მაგრამ რევოლიუციურ პირობებში საერთოთ კლასს არ შეუძლია დაუცადოს იმ დროს, როცა ყველა მისი ნაწილები საჭირო შეგნებამდე მივლენ, ამიტომ ის ადგება პირველ გამოსავალს, ე. ი. ძალდატანებას.

ძალდატანება ეს ერთათ-ერთი კლასობრივი იარაღია, მაშასადამე ისტორიაში ის ჩვეულებრივათ ხმარებულია და მიღებული, მაშასადამე მას მოიხმარს და ხმარობს კიდეც ყოველთვის მუშათა კლასიც, მაგრამ როცა თვითონ მუშათა კლასს, როგორც მთელს ამ იარაღის ხმარება უხდება თავისივე კლასის ნაწილზე, მუშათა ზოგ ჯგუფზე ან გლეხებზე, მაშინ კი მუშურ-გლეხურ მთავრობას ცხადია, განსაკუთრებით მართებს ჩაუკვირდეს საკითხს, აწონ დაწონის გარემოება და შედეგები მოსალოდნელ ძალდატანებისა და ისე გადადგას ეს არასასიამოვნო ნაბიჯი.

მაშ ასე: 1) სასტიკი განსაზღვრა კომპეტენციისა და ფარგლების ცენტრსა და პერიფერიას შორის; 2) მტკიცე მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა ცენტრისა ადგილობრივ ორგანოებთან და მასსებთან; და 3) დამორჩილება-დათმობა (სასურველია, მარა არა აუცილებელი ასეთი დამორჩილება დათმობა იყოს ნებაყოფლობითი და არა ძალ-დატანებითი) როგორც პერიფერიების ისე ცენტრის მხრითაც.

## ფინანსიური საკითხები

ფინანსების მოწესრიგება დღეს დღეობით საჭირბოროტო კითხვათ გადიქცა. საბჭოთა რუსეთის პრესის სხვა და სხვა ორგანოებში დღეს ეს კითხვა იშმება და ცდილობენ შესაფერი გამოსავალი მონახონ გამოცდილებით, და საუბედუროთ მწარე გამოცდილებით, ყველამ იცის, რომ ფულის ფასი თანდათან იწევს ძირს მუშებს და თანამშრომლებს ერთმევა თანდათანობით საშუალება შეიძინონ სულ უმნიშვნელო მოსახმარებელი საგანიც კი; მაგალითად ჯამაგირების მიხედვით დარაჯს არ შეუძლია ბაზარზე იყიდოს ერთი გირვანქა სარეცხი საპონი და არც ერთს ს. ს. ს. რესპუბლიკის თანამშრომელს შეუძლია თვეში ერთი ფუთი სიმინდის ფქვილი შეიძინოს. მსოფლიო ხანგრძლივი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის შემდეგ დაირღვა ის თანასწორობა, რომელიც გამოიხატებოდა დებულებაში ფული=(უდრის) საქონელს. მეფის რუსეთში ახალი ფულის გამოშვებას უმთავრესად ახალ მოსავლის რეალიზაციით აფასებდენ. სოციალისტური ცვლილება თითქმის მარტის გადატრიალების შემდეგ ფულის გამოშვება მხოლოდ ფულის ნიშნების ბეჭდვითი საშუალებით არის განსაზღვრული, მიუხედავათ ამისა, როგორც ამხ. პრეობრაჟენსკი ამბობს თავის წიგნში—„ქაღალდის ფულები პროლეტარიატის დიქტატურის დროს, საბჭოთა აგრარულ რუსეთში ფულის გამოშვებას კატასტროფიული ხასიათი არ აქვს. საქართველოს პირობებშიაც ნაკლებ იმედებს ვერ ვაქონიებთ და ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტისათვის ფულის გამოშვებას—ემისიას, როდესაც სხვა გადასახადთა ჯამი უნდა შემცირდეს. შედარებითი ბალანსით ე (ემისია) X შ (შემოსავალი—(უდრის) გ (გასავალი) ან და ე=გ—შ. გავსინჯოთ ემისიის მისივე ნაწილზე დამოკიდებულება. 1 შემთხვევა „გ" მატულობს და „შ" უცვლელია, მაშინ ემისიამ უნდა იმატოს და სულ განხვავება გასავლის და შემოსავალის შორის ემისიით დაიფარება; მეორე შემოსავალი კლებულობს—მაშინ ემისია მატულობს; ორივე შემთხვევაში, როდესაც ემისია მატულობს ფულის რეალური ფასები ეცემა. მაშასადამე ფულის დაცემას აჩერებს: 1) შემოსავალის გადიდება, სხვა და სხვა გადასახადთა დადებით და მათი აკრეფით, 2) გასავალის შემოკლებით ე. ი. შემოკლებით იმ ნაწილის გასავლისა, რომელიც წარმოებისათვის დახმარებითი ხასიათისაა. გასავალს იწვევს მასალის შეძენა და შრომის ჯილდო, რომელიც მიდის წარმოებაში და ახალ მოსახმარ საგანს ახალს ღირებულებას ჰქმნის, ეს არის შემქმნელი ხარჯი, მეორე—ქარხანის ან ფაბრიკის ადმინისტრაცია, კანტორის მოხელეები, დარაჯები და სხვები რესპუბლიკის მასშტაბში: კომისსარიატები, ის მრავალი მოხელეები, რომელსაც ეწოდება საბჭოთა თანამშრომელნი, არმია და სხვა, რომელთაც ეძლევათ ცხოვრების საშუალება ერთი წყაროდან რესპუბლიკის სალაროდან. ეს არა შემქნელ, არამედ მოსახმარებელ ორგანოებზე გაწეული ხარჯები უნდა იქმნეს, რამდენათაც შესაძლებელია, შემოკლებული და ეს ძალები წარმოებაში გადაყვანილი. ჯერ კიდევ ად. სმიტი თავის გამოკვლევებში აღნიშნავს, რომ ხალხის სიმდიდრე დამოკიდებულია იმისგან თუ რა ნაწილი მცხოვრებთა იღებს მონაწილეობას წარმოების პროცესში. რესპუბლიკამ ღრიცხვაზე უნდა იქონიოს როგორი დამოკიდებულობა რაოდენობითი არსებობს შემქნელი შრომის და დამხმარე ელემენტების შორის, ეცადოს ეს დამოკიდებულება შეამციროს წარმოების გაძლიერებით არა მწარმოებელთა ანგარიშში.

ამით სურსათ საწვავი და საქონელი გადასაცვლელი მეტი დამუშავდება, თან და თან შესაძლებელი იქნება მუშას მიეცეს რეალური ჯამაგირი და ფულის კურსი გამაგრდეს.

ეხლანდელი ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა რუსეთი და რომელიც უნდა გატარდეს საქართველოში დაუდებს ურყევ საფუძველს და ნატურ გადასახადით შექმნის ფონდს სოფლის ნაწარმოებზე გადასაცვლელად და წარმოების მოქმედებას ასწევს. ემისიის დროებით შეჩერებას და მისგან გამოწვეულ ფულის ფასის დაცემას შეაჩერებდა დროებით თუ ადრე გამოშვებული ფული შემნახველი კასების სახით ან ბანკების საშუალებით დაბრუნებულიყო რესპუბლიკის სალაროში, მხოლოდ ეხლა ვერავითარი სარგებლით ვერ დაინტერესებთ ფულის მქონებელთ, რომ მათ მოაბარონ ფული. ერთად ერთი სადი ეკონომიური პოლიტიკა ნატურალური ფონდის შექმნაა და სხვილი ნაციონალური და წვრილი მრეწველობის განვითარება. ამ გზას დაადგა დღეს რუსეთი, ამ გზას უნდა გავყვეთ ჩვენც საქართველოში.

გლ. კორძაია

## კომინტერნის მე-3 კონგრესი.

**კონგრესის მე-4 სხდომა.**

საგანგებო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. რადეკმა მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ ყველა მანდატები არაა გარჩეული. კონგრესს ესწრება 48 სახელმწიფოს დელეგატები. გადამწყვეტი ხმითაა 291 დელეგატი, სათათბიროთი 219 და 100 მდე სტუმარი.

**მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციის მებრძოლთა შორის ვის არა აქვს ადგილი.**

უარყოფილი იქნა ბულგარელის კომუნისტურ მუშათა პარტიის მანდატი, რომელიც (პარტია) შესდგა, როგორც მემარცხენე ფრთა ბულგარეთის სოციალ პატრიოტულ პარტიისა. ერთ დროს მას კომუნისტები მეტად მემარჯვენედ მიაჩნდა, მაგრამ მაინც თავის პარტიულ ორგანოში რენეგატ კაუცკის ნაწერებს ბეჭდავს. აგრეთვე უარყოფილ იქნა ბულგარეთის მემარცხენე კომუნისტების მანდატიც, რათა ამ ჯგუფის ცნობით უნაყოფოთ არ დაქსაქსონ ბულგარეთის კომუნისტური ძალა, რომელიც ამ ჟამათ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

**რუმინეთის წარმომადგენლობასთან საქმის გარითულება.**

რუმინეთის ბურჟუაზიამ ამ უკანასკნელათ მომხდარ სოციალისტურ კონგრესზე ყველა კომუნისტები დაატუსაღა. კომუნისტები იმ კონგრესზე უმრავლესობას წარმოადგენდნენ და კიდევაც შესძლეს რუმინეთის სოციალისტების მესამე ინტერნაციონალთან შეერთება. რუმინეთის კომუნისტები ამ ჟამათ არალეგალურ მდგომარეობაში არიან. სამანდატო კომისიამ გადასწყვიტა ამ არალეგალურ ჯგუფების კერძო წარმომადგენლებს მიეცეს უფლება კონგრესის მუშაობაში დროებით მონაწილეობის მიღებისა. ვის მიეცა სათათბირო ხმის უფლება.

ესტონეთის დამოუკიდებელნი, პოლონეთის ბუნდი და პოალეციონი ამ ჟამათ მოლაპარაკებას ეწევიან მესამე ინტერნაციონალში შემოსვლის შესახებ; ამის მიხედვით მათ წარმომადგენლებს კონგრესზე მიეცა სათათბირო ხმის უფლება.

**როგორ ნაწილდება კონგრესზე ხმები.**

ხმების განაწილების დროს პარტიის წევრთა რაოდენობა სახელმძღვანელო მატივით არაა მიღებული. მიღებულია მხედველობაში ქვეყნის პოლიტიკური პირობები, მისი პროლეტარიატის რევოლიუციონურ სიმტკიცის ხარისხი და ამ ქვეყნის მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში. სამანდატო კომისიამ დაჰყო ყველა.

---

**მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი.**

მოსკოვი. 26 ივნ. ივნისის 26 სხდომაზე კონგრესმა გერმანელ რევოლიუც. მაქს ჰელცის დატუსაღების გამო გადასწყვიტა მიმართოს გერმანელ პროლეტარიატს შემდეგი მოწოდებით:

ციხეებსა და გამასწორებელ სახლებში დატუსაღებულ მებრძოლ. იმ ორი ათას წელს, რომელიც გერმანიის ბურჟუაზიამ გადაუწყვიტა მარტის დღეებში მებრძოლთ, დღეს მიუმატა განაჩენი მაქს ჰელცის შესახებ, რომელსაც უვადო პატიმრობა გადაუწყვიტეს. კომუნისტური ინტერნაციონალი საზოგადოთ წინააღმდეგია კერძო ტერორისა და მოქმედების საბოტაჟისა, რომელნიც არ ემსახურება უშუალოდ სამოქალაქო მიზნებს, პარტიზანიზმის წინააღმდეგ, რომელიც სწორმოებს რევოლიუციონური პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის დამოუკიდებლად. მაგრამ ამავე დროს ერთად კომუნისტური ინტერნაციონალი მაქს ჰელცში უყურებს მედგარ მებრძოლს, რომელიც შეებრძოლა კაპიტალისტურ წესწყობილებას, რომლის წესებიც მდგომარეობს გამასწორებელ სახლებში, წესიერება კი თეთრ ტერორში. მაქს ჰელცის მოქმედება არ იყო მიზანშეწონილი. თეთრი ტერორის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ მუშათა მასიურ ამბოხებით, რომელიც შეიძლებს პროლეტარიატის საჭიროებათა უზრუნველყოფას. მაქს ჰელცის მოქმედება ნაკარნახევია პროლეტარიატისადმი სიყვარულით, ბურჟუაზიისადმი სიძულვილით. ამიტომ კონგრესი უგზავნის რა მაქს ჰელცს თავის ძმურ სალამს, აკისრებს გერმანელ პროლეტარიატს მის დაცვას და იმედოვნებს, რომ იმ დღეს, როდესაც გერმანელი პროლეტარიატი მისი ციხის კარებს გახსნას შესძლებს, მაქს ჰელცი გერმანულ კომუნისტურ პარტიათა რიგებში გერმანულ მუშათა განთავისუფლებისთვის იბრძოლებს.

## საბჭოთა რუსეთში

**გრუპპროსტას დეპეშები.**

**ლოზუნგები.**

მოსკოვი. 20—6 (რადიო). როცა სურსათ სანოვაგის განაწილებაზეა ლაპარაკი, მაშინ იმაზე ფიქრი, რომ იგი სამართლიანად უნდა განაწილდეს, შეუძლებელია, არამედ მაშინ უნდა იფიქროთ მაზე, რომ ეს განაწილება არის მეთოდი, იარაღი და საშვალება წარმოების გაძლიერებლათ.

ამხ. ლენინის სიტყვები: „თუ შენის ნებით არ იმუშავებ, გაიძულებენო".

**ვინაა კოოპერაციის მტერი.**

მოსკოვი. 26—6. (რადიო). აზოვის ნაპირებზე მომქმედ საქონლის გაცვლა-გამცვლელი ექსპედიციის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ გლეხებს შორის კოოპერაციის წინააღმდეგ დიდ აგიტაციას ეწევიან სპეკულიანტები. ისინიავრცელებდნენ ყოველგვარ ჭორებს. ამის გამო გლეხობა ეჭვის თვალით შეჰყურებს კოოპერაციას. უკრაინაში და ყირიმში სპეკულიანტების წინააღმდეგ სასტიკი ზომებია მიღებული. აქ ისინი აზოვის ზღვაზე ფართეთ სარგებლობდნენ საზღვაო ტრანსპორტით.

## უკრაინის გლეხების განცხადება.

მოსკოვი. 8. ამხ. ლენინის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: ჩვენ, ხელმოკლე ეკატერინოსლაველმა გლეხებმა, კარგათ ვიცით რესპუბლიკის მძიმე მდგომარეობა, ყველაფერს ვიზამთ იმისთვის, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ. ჩვენ ველებში სეირნობენ ბანდიტები. ისინი ხოცავენ და ჰკლავენ სოფლელებს, მაგრამ საერთო ძალ-ღონით ჩვენ მათ მოვერევით. ყველაფრით, რითაც კი შეგვიძლიან, შევუმსუბუქებთ ჩრდილოეთის შიმშილობას. დეე, სულით ნუ დაეცემიან, ნუ წამოეგებებიან მტრების ანკესებს. ეკატერინოსლავსკის სამაზრო ყრილობა ხელმოკლე სოფლელთა.

## მოსავალი უკრაინაში.

კიევი. 10 ივნისი, ხშირი წვიმების გამო, მოსავალი ბახმაჩის, ელობინის, მინსკის, გომელის და კალიკოვიჩის რაიონში საშუალოზე მეტია. სასურსათო გადასახადის შემოღებამ აიძულა გლეხობა ყოველი ადგილი მიწის დაემუშავებიათ. ხელმოკლე გლეხთა სათესური ფონდით უზრუნველსაყოფელად და დაქვეითების საწინააღმდეგო სათანადო ზომების მისაღებად, უკრაინის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: მიექცეს სერიოზული ყურადღება ნათესი სივრცის გაფართოებას და ამიტომ მთელ უკრაინაში მოახდინონ დათესვა პურის 20 ივნისამდე.

## შტატების შემცირება.

როსტოვი. 11 ივნისი (დეპეშა). როსტოვში დაიწყო საბჭოთა დაწესებულებათა შტატების მაქსიმალური შემცირება. 1.318 მოსამსახურიდან დაითხოვეს 17095. ყველა დათხოვნილი მოსამსახურე გადაეცა შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

## სოციალისტური კომუნა.

მოსკოვი. 26 ივნისი (რადიო) ჩრდილოეთ კავკასიაში მაიკოპის ახლო მდინარე ბელაიასთან მოეწყო სასოფლო სამეურნეო საწარმოო და სამეცნიერო დამხმარე ინტერნაციონალური კომუნა შრომის აკადემიით. აკადემიის დანიშნულებაა მოამზადოს სასოფლო-მეურნეობისთვის საჭირო ინსტრუქტორები. კომუნა შესდგება უცხოეთიდან ჩამოსულ 600 მუშისაგან, ნაწილიდ წითელ არმიელებისაგან და სოფლის ღარიბეს ნაწილისაგან. კომუნა გამოიყენებს მდინარე ბელაიას ჩანჩქერს, რომელსაც წარმოებისათვის დიდი ძალა აქვს.

## საქონლის გაცვლა.

როსტოვი. 11—6. (დეპეშა). დადებულია ხელშეკრულება რუსეთში და მის მეზობელ სახელმწიფოებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების ფრანგული უსახელო საზოგადოებასთან, საზოგადოების წარმომადგენლად არის საფრანგეთის მოქალაქე არმენ ვილიემი. ხელშეკრულების მიზანის სამხრეთ-აღმოსავლეთის მომარაგება საქონლით. ამისათვის გამოიყენებენ კონსტანტინეპოლის ბაზარს. ამასთან ერთად მოწყობილი იქნება რუსეთის საქონლის საზღვარ-გარეთ ექსპორტის ორგანიზაცია.

## ღვინის მარაგი ყუბანში.

როსტოვი. 8 ივნისი (დეპეშა). სპირტის წარმოება თერგის ყუბანის და შავი ზღვის ოლქებში ძლიერ სუსტათაა განვითარებული ღვინის მარაგი როსტოვში უდრის 6,000 ვედროს. განზრახულია როსტოვში შექმნან სამხრეთ-აღმოსავლეთში სპირტის და ღვინის განმანაწილებელი [illegible].

## ზეთის ხილი და ლიმონი.

ოდესა. 12 ივნისი ოდესის ნავთსადგურში მოვიდა გემი „სანუარი" ზეთის ხილით და ლიმონით დატვირთული. იგი გაიგზავნა უკრაინის ჯანმრთელობის სახალხო კომისარის განკარგულებაში.

# საზღვარ გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

## დადგება დღე განკითხვისა

მოსკოვი. 27 ივნისი (რადიო). გერმანელმა კომუნისტმა ჰელცმა მოისმინა რა სასამართლოს განაჩენი, სთქვა: „სულ მალე დადგება დრო თავისუფლებისა და პროლეტარულ შურის ძიებისა. მაშინ კი ჩვენ ვიქნებით მოსამართლეებათ. დამშვიდებით შეგიძლიანთ გამოიტანოთ სიკვდილის განაჩენი. თქვენ გაასამართლებთ ჰელცს, მაგრამ იდეიას კი ვერა. ერთი ჰელცის მაგივრათ აღსდგება ათასი სხვა და დაამსხვრევენ მოწინააღმდეგეთ. გერმანიის მიმდინარე რევოლიუცია თავის სიმკაცრით გადააჭარბებს ყველა წინანდელ რევოლიუციებს, არა იმიტომ, რომ პროლეტარიატი მკაცრია, არამედ იმიტომ, რომ ბურჟუაზია ეხლა დიდს სისასტიკეს იჩენს.

ბერლინში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. ის მიმართული იყო ჰელცის სიკვდილით დასჯის შესახებ გამოტანილ განაჩენის წინააღმდეგ.

## ჯალათები მზათ არიან.

მოსკოვი. 26—6 (რადიო). ლატვიის სამხედრო სასამართლოებში მზადდება სიკვდილით დასჯის ახალი განაჩენები. ივნისის 27 ს გაასამართლებენ შვიდ ჯარის კაცს. მოსალოდნელია სიკვდილით დასჯის განაჩენი. მათ ასამართლებენ 1905 წლის იანვრის დღეების წლისთავის დღესასწაულისათვის.

## განხეთქილება ლატვიის სოციალ-დემოკრატებს შორის.

რიგა 23—6 (რადიო). ლატვიის სოც. დემოკრატი პარტიის ცენტრ. კომიტეტმა მოწოდება გამოსცა განხეთქილების გამო, რაიცა გამოიწვია მემარჯვენეებმა. ცენტრ. კომიტეტმა პარტიიდან დაითხოვა დამფუძნებელი კრების 14 წევრი და სამი მინისტრი. ცენტრ. კომიტეტი სწყვეტს ყოველგვარ დამოკიდებულებას პარტიის მემარჯვენე ფრთასთან.

## საერთო გაფიცვის ხელ-ახალი საფრთხე.

მოსკოვი. 25 ივნისი (რადიო). ინგლისის მექანიკოსმა მუშებმა უარყვეს მწარმოებლების წინადადება. მაღაროს მუშების აღმასრულებელმა კომიტეტმა 25 ივნისისათვის მოიწვია თათბირზე მექანიკოსები, სასოფლო სამეურნეო, გამბეულობისა და სატრანსპორტო მუშები საერთო სამოქმედო გეგმის გამოსამუშავებლათ. საერთო გაფიცვის წინადადებას მუშები დიდის ენტუზიაზმით ეგებებიან.

## კარგი გაკვეთილი სოციალ-შეთანხმებელთ.

ბერლინი. 22 ივნისი (რადიო) რომის პარლამენტში დიდი შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და სოციალისტებს შორის, ხელ-ჩართულ შეტაკებამდე მივიდა საქმე. შრომის მინისტრ სოციალ შეთანხმებელმა ლაბრიოლამ სცადა საქმეში ჩარევა მაგრამ იგი შეაჩერა პრემიერმა ჯიოლიტიმ. ლაბრიოლამ თანამდებობიდან განთავისუფლების ქაღალდი შეიტანა და მეტათ აღელვებულმა დასტოვა დარბაზი.

## შავრაზმელთა ახალი ბუდე.

[illegible] ივნისი, (რადიო). პარიზში არჩეულია ემიგრანტ-კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარეთ—კარტაშევი, მის ამხანაგათ ბურცევი. წევრებათ—დოლგორუკი, კუზმინ კარავევი, ლიზბერგი, ტელსენკო, ფედოროვი და სმირნოვი. კომიტეტმა ვლადივასტოკის ბანდიტ მერკულოვს მიულოცა შორეულ-აღმოსავლეთის განაპირის განთავისუფლება.

## ცინიკური აღსარება.

რიგა. ფრანგული გაზეთი „დე პოპიულერი" სწერს: საფრანგეთის ბურჟუაზიამ ცინიკურად განაცხადა, რომ მას სურს ბუდაპეშტის ტახტზე დარჩეს ყველაზე უფრო საზიზღარი მართველი ევროპაში, ათასი სოციალისტი ებრაელის მკვლელი მომწყობი ყველაზე უფრო სისხლიანი თეთრი ტერორის. ამ რიგად ჰორტი რჩება მართველად.

## პატარა მტაცებლები ბაძავენ დიდების მაგალითს

რიგა. 3—6 (რადიო). რუმინეთსა და ჩეხო სლოვაკიას შორის დადებულ ხელშეკრულობის გამო საბოლოოდ შესდგა, მცირე ანტანტა, რომლის შემადგენლობაში შედიან პოლონეთი, სამხრეთ სლაველი ჩეხო-სლოვაკია და რუმინეთი. განზრახულია ბალკანეთზედაც გავრცელდეს ამ მცირე ანტანტის გავლენა.

## საერთაშორისო სავაჭრო.

ბერლინი. რეისტაგის პრეზიდენტმა, უმრავლესობის სოციალისტ ლებემ განაცხადა პრესის წარმომადგენლებთან: რუსეთთან საქონლის გაცვლის დაწყება და რუსეთის ხალხისთვის პირველ საჭიროების საგნების მიწოდება, კვლავ აითრევს რუსეთს საერთაშორისო ვაჭრობაში: ჩვენ არ შეგვიძლიან და არც უნდა ჩავერიოთ რუსეთის საქმეში. ჩვენ კავშირს დავიჭერთ ყოველგვარ მთავრობასთან, რომელიც ნამდვილად განახორციელებს ფაქტიურ ხელისუფლებას.

## მსოფლიო მტაცებლებს ცუდათ მისდით საქმე.

ლონდონი. 20 ივნისი (რადიო). კილიკიაში (მცირე აზია) დაბანაკებულია ქემალისტების 30 ათასი ჯარის კაცი. ჯარი მზათაა ფრანგების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ლონდონი. 20 ივნისი (რადიო). სრულიათ ინდოეთის ყრილობის კომიტეტი მოუწოდებს ინდოელ ჯარის კაცებს, რათა ისინი არ დაეხმარონ ინგლისს იმ შემთხვევაში, თუ მან ომი დაიწყო ოსმალო ნაციონალისტების წინააღმდეგ.

## ინგლისი და პოლონეთი.

ჰონოვერი. (ამერიკ. რადიო). ამერიკული პრესა იუწყება რომ ინგლისი ზემო-სილეზიაში მოელის ახალ ჯარებს, ტანკებს და ჰაეროპლანების ესკადრილიას რომ პოლონეთის წინააღმდეგ გამოვიდეს, თუ კი ფრანგები განაგრძობენ მოკავშირეთა ზომების წინააღმდეგ საბოტაჟს. ზომები მიღებულია პოლონელების წინააღმდეგ რათა მათ დასტოვონ ხელში ჩაგდებული ადგილები. პოლონელები ძალიან გაჯავრებული არიან ინგლისელების წინააღმდეგ.

ვარშავა. პოლონური გაზეთი „მუშა" სწერს: „გაბრაზებული გამოლაშქრება ლოიდ ჯორჯის პოლონეთის და საფრანგეთის წინააღმდეგ, მომასწავებელია ანტანტის შიგნით დამოკიდებულების გადადგომის. ანტანტის ლიკვიდაციის დაწყებამდე ერთი ნაბიჯია. ლოიდ ჯორჯის სიტყვა ახალ პოლიტიკის შესახებ გერმანიის და რუსეთის მიმართ [illegible] გერმანიასთან და რუსეთთან [illegible] მეგობრული დამოკიდებულების დამყარების. ლოიდ-ჯორჯის ამ მიკერძების მსხვერპლი კი უნდა იქნეს პოლონეთი".

## გალიციის ნავთიანი ადგილები.

ვარშავა. „პოლონეთის სიტყვა" იუწყება, რომ გალიციის ნავთის წარმოებაში გაფიცვა გრძელდება. მწარმოებლები უარს უცხადებენ მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ისინი თანხმობენ წარმოების 10 პროცენტს და სამი თვის ჯამაგირს.

# საქართვ. წარმ. პროფკავშირების კონფერენცია.

კონფერენციის დახურვის შემდეგ.

ივნისის 18 ს. კონფერენციის დახურვის შემდეგ დელეგატების მთელი შემადგენლობა დღის 3 საათზე გაემართა საქართველოს რევკომის მისა ალმებით სასახლისაკენ. დამწკრივებულ დელეგატებს წინ მიუძღოდა ახლათ არჩეული პრეზიდიუმი. ინტერნაციონალის სიმღერით მიადგნენ სასახლეს. სასახლის ფანჯარასთან გამოჩნდა საქ. რევ. თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. მას დელეგატები ტაშით შეეგებენ. კონფერენციის სახელით საქ. რევკომს ამ. ფ. მახარაძის სახით ესალმება ამხ. ყურულაშვილი.

ამხ. მახარაძის საპასუხო სიტყვის შემდეგ კონფერენციის წევრები შედიან ყოფილ დამფუძნებელი კრების დარბაზში, თავმჯდომარის სკამთან აღმართეს სავ. პროფ. კავშ. საბჭოს დროშა და დასხდნენ სკამებზე.

დარბაზში შემოდის საქართ. რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. დელეგატები ფეხზე სდგებიან და მხურვალე ტაშით ეგებებიან მას.

### ამხ. მახარაძის სიტყვა.

სხდომას ხსნის ამხ. მახარაძე. ის თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ რევკომის წევრთ იმდენი სამუშაო აქვთ, რომ ისინი ერთხელაც არ ყოფილან ამ დარბაზში, სადაც იმართებოდა „დამფუძნებელია" სხდომები და თითქმის არც კი იცოდნენ დღემდე, თუ სად იყო დემოკრატიულ საქართველოს ღერბი, ღერბი გიორგის, რომლითაც მენშევიკებმა დააბნელეს მუშათა კლასის შეგნება. ის წინადადებას აძლევს მუშებს, რომ მათ თავის საკუთარი ხელით ჩამოხსნან გიორგის ღერბი და მის ალაგას აღმართონ თავისუფალ საქართველოს წითელი ღერბი.

შემდეგ ამხ. მახარაძე იგონებს, რომ ამ დარბაზში ბევრი სხდომები იმართებოდა, ბევრი გადაწყვეტილებები, ბოროტმოქმედების ხასიათისა გამოუტანიათ აქ, ამ გადაწყვეტილებით სცდილობდნენ საქართველოს მუშებიც დაემორჩილებინათ დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმისათვის, აქვე გამოჰქონდათ დადგენილება საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ, მასთან საბრძოლველათ და მრავალი სხვა. შემდეგ ის ამბობს, რომ მუშები თავისუფალ საქართველოში პირველათ სხედან ამ დარბაზში და იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგი სხდომა იქნება სხდომათ მუშა-გლეხთა და წითელ ლაშქრის დეპუტატთა საბჭოსი. მან უკანასკნელათ უსურვა გამარჯვება მუშა გლეხთა და წითელ ლაშქრის დეპუტატთა მომავალ პირველ საბჭოსა და მის დეპუტატებს.

ამხ. მახარაძის წინადადების შემდეგ თავისუფალ საქართველოს ღერბის აღმართვის შესახებ, წამოდგება ამხ ყურულაშვილი, მიდის ის კათედრასთან და იქ მიაკრავს ახალ ღერბს. ყველანი სდგებიან ფეხზე.

ამხ მახარაძის სიტყვის დასასრულს მხურვალე ტაშით ეგებებიან კონფერენციის წევრნი და მღერიან ინტერნაციონალს.

### ამხ. კიროვის სიტყვა,

ამხანაგებო! ბევრჯელ მომიხდა მე გამოსვლა სხვა და სხვა პირობებში, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ დამფუძნებელ კრებაში პირველად გამოვდივარ. ეს დამფუძნებელი კრება მოკვდა, არასდროს არავითარ პირობებში აღარ აღსდგება. (ტაში). გახსოვდეთ, რომ რუსეთის პროლეტარიატმა წამოაყენა ლოზუნგი, რომ არ დარჩება არც ერთი პარლამენტი, რომელიც არ დაუთმობს ბოლშევიკებს, აქაც გაიმართება სხდომები საქართველოს მუშა გლეხთა წითელ არმიელთა დეპუტატთა პირველ საბჭოსი, (ტაში). და განა შეიძლება სხვანაირათ მოხდეს, როდესაც [illegible] სურათი, ერთად ერთ-[illegible] მარქსი მთელი [illegible] და წითელ არმიელთა საბჭოსი. (მქუხარე ტაში). პროლეტარიატმა გამოუცხადა ომი კაპიტალს და ჩაება მძიმე ბრძოლაში, რომლიდანაც მხოლოდ გამარჯვებულად შეიძლება გამოვიდეს (ტაში). უნდა ბრმა იყოს კაცი, რომ ვერ დაინახოს თუ, როგორ ირყევიან ყველა პარლამენტები, უნდა ყრუ იყვეს კაცი, რომ ვერ გაიგონოს კაპიტალის ნგრევის ხმა. მართალია, ახლა ძნელია, მაგრამ იქ, წინ მოსჩანს შრომის ახალი ამომავალი მზე, იქ, შორს მოსჩანს წმინდა რიგები მალიან მუშებისა, რომლებიც მღერიან თავის ჰიმნს, ჰიმნს მუშებისას—ინტერნაციონალს. და აი ეხლა ქართველი პროლეტარიატი უერთდება მესამე ინტერნაციონალის დროშით მიმავალ წმინდა რიგებს, გაუმარჯოს მუშურ საქართველოს. (ტაში).

### ამხ. ლეგრანის სიტყვა.

ამხ, კიროვის შემდეგ საბჭოთა რუსეთის სახელით გამოდის ამხ. ლეგრანი, რომელიც დამსწრე დელეგატთა სახით ესალმება საქართველოს მუშებს.

### ამხ. ბუდუ მდივანის სიტყვა.

ამხ. ბუდუ მდივანი ეხება აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხს და აღნიშნავს, რომ ძალიან ფრთხილათ უნდა გატარდეს, ვინაიდან პროლეტარიატის მუშაობა აღმოსავლეთის პოლიტიკის საქმეში იმდენათ სერიოზულია, რომ იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას. აღმოსავლეთის პოლიტიკაში ჩვენ გვიხდება მრავალი დათმობა და იმ ტეხილ გზით სვლა, რომ გავიყოლიოთ აღმოსავლეთის პროლეტარიატი, რომელიც მრავალ წლის განმავლობაში დამონებულია ევროპის კაპიტალით.

### ამხ. დუმბაძის სიტყვა.

ამხანაგებო! ჩვენ ეს არის ეხლა დავხურეთ ჩვენი კონფერენცია მნიშვნელოვან რეზოლიუციების მიღებით, რომ ის გატარდეს ცხოვრებაში საჭიროა მუშაობა. კონფერენციაზე ჩვენ გვიუბნებოდენ, რომ ხელმძღვანელებს შეაქვთ შუღლი და რომ პოლიტიკური და პროფესიონალური მუშაობა ერთი და იგივე არაა. ყოველივე ეს ტყუილია და რასაკვირველია თქვენც არ დაუჯერებდით, რაც სჩანს თქვენ მიერ მიღებულ დადგენილებაში ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ ადგილს, სადაც „დამფუძნებელი" კრების არსებობა და აი ეს მენშევიკური ღერბი საბოლოოთ დაიმარხა. მისგან არაფერი არ დარჩება. პროფკავშირებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს პირველ მუშა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების მოწვევაში, რომელიც გახდება [illegible] და ეხლანდელი ხელმძღვანელნი გადასცემენ ხელისუფლების საბჭოსა და ყრილობას. ვისურვებთ, რომ შემდეგი ყრილობა აქ იყოს მუშა გლეხთა და წითელ არმიელთა ყრილობის კრება.

გაუმარჯოს მუშა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოთა ყრილობას. (ტაში).

### ამხ. მახარაძის სიტყვა.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დავხურო ეს სხდომა, მართალია სხელდახელოა, მაგრამ ამით არა ნაკლები მნიშვნელოვანია თავისი შედეგებით. მნიშვნელოვანია ის, რომ დემოკრატიულ საქართველოს ღერბი, თქვენის ხელებით, ხელებით მუშებისა შეცვლილია წითელ ღერბათ (ტაში).

# 2½ ინტერნაციონალის დაარსება.

(გაგრძელება იხ. „კომ." № 99).

### III კომუნისტურ ინტერნაციონალთან დათმობის ცდა.

პირველ ხანებში ყველა ქვეყნის ცენტრისტები თავის დიდების სიმაღლიდან დაყურებდენ კომუნისტურ ინტერნაციონალს და არ ხედავდენ მასში ანგარიშგასაწევ ძალას. საბჭოთა რუსეთის უდიდეს გართულებათა ხანაში წარმოშობილი ინტერნაციონალი იმათ ეჩვენებოდათ სიცოცხლის დღეებ განწირულათ. ჯერ კიდევ 1919 წ. სექტემბერში გერმანიის დამოუკიდებელთა ლიდერმა რუდოლფ გილფერდინგმა განაცხადა პარტკიტაში ყრილობაზე: მე 3 ინტერნაციონალი ეს საბჭოთა რუსეთია და არაფერი გვიშლის ხელს მისი ბედის გამორკვევას დაველოდოთ: არ შეიძლება დაძირულ გემზე დაჯდომა. რაც ასე აშკარად გამოსთქვა ცენტრის განსაკუთრებით დაურიდებელმა და ცინიკმა წარმომადგენელმა მასვე იზიარებდა მთელი ცენტრის პაპენგეიმერი. ამავე დროს ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ომის დროს მე 2 ინტერნაციონალის მიერ დაკარგული ქალწულობა გამოსასწორებელი საქმე იყო. ამიტომაც იყო რომ სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა ბერნისა და ლიუცერნის კონფერენციებში, რომელიც მსოფლიო ბურჟუაზიის დივერსიას წარმოადგენდა. როდესაც მუშებმა იმათ თვალწინ, რომლებსაც მათთან კავშირი კიდევ არ გაეწყვიტათ და რომლების თავისთან დაკავების იმედი მათ ქონდათ, უფრო და უფრო გაბედულათ ამოიღეს ხმა მე-3 ინტერნაციონალის სასარგებლოთ. მაშინ ცენტრის ბელადებმა გადასწყვიტეს მიმხრობოდენ მესამე ინტერნაციონალს, რათა დაეძროთ მისთვის კბილები. ამ გამოცდილ პოლიტიკანებისათვის კომუნისტური ინტერნაციონალის საშიში პუნქტი კომუნიზმის დოქტრინა სრულებითაც არ ყოფილა. თანამედროვე კომუნიზმის თეორია ეს მარქსის თეორიაა საზოგადოებრივ ბრძოლასა და განვითარებაზე. ისინი ხანგრძლივ წლების განმავლობაში ამახინჯებდენ მარქსიზმს და ხანგრძლივ წლების განმავლობაში პრინციპიალურ ხასიათის რეზოლიუციებს ღებულობდენ, რითაც თავის ოპორტიუნისტურ ტაქტიკაში არაფერს არ ცვლიდენ. პროლეტარიატის დიქტატურასა და ტერრსაც კი ღებულობდენ პირობით და თუობით, იმ იმედით რომ კაპიტალისტური რესტავრაცია არ დააცლიდა მათ საჭირო სიმკაცრის მიღებას. მაგრამ რაზედაც ისინი არამც და არამც არ თანხმდებოდენ ეს ის იყო, რომ რევოლიუციონურ ბრძოლის მოსამზადებლათ კონკრეტიულ ნაბიჯები გადაედგათ და მესამე ინტერნაციონალის რომელიმე ორგანიზაციულ ფორმას არ შეერთებოდენ რის შემდეგაც იმათ კომუნისტურ ინტერნაციონალის ძირითად დებულებებიდან უკან დასახევი გზა მოჭრილი ექნებოდა. იმათ მიმართეს ყოველი სახელმწიფოს ოპორტიუნისტთა ძველ „პრიომს" და განაცხადეს თავისი პრინციპიალური თანხმობა კომუნისტურ ინტერნაციონალთან. მათ უნდოდათ მხოლოდ შეერთებულათ განეხილათ თუ როგორი საშუალებით მომხდარიყო რევოლიუციონურ პარტიების გაერთიანება. ამ განცხადების აზრი ის იყო რომ ინტერნაციონალის ცენტრს, როგორც ერთ მთელს განზრახვა ქონდა მოლაპარაკებოდა კომუნისტურ ინტერნაციონალს იმის შესახებ თუ როგორ შეექმნათ საკომპრომისო ორგანო კომუნისტური პრინციპების ცენტრის ტაქტიკასთან შესათანხმებლად ეს ხერხი არ გაუვიდათ. ცენტრის პარტიამ ვერ მოახერხა კომუნისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან გაერთიანებული თათბირის გამართვა. იმ მიზეზით, რომ მუშათა მასსების ასეთი თუ ისეთი გავლენა ცენტრის პარტიებში ყველგან ერთნაირი არ იყო ჯერ საფრანგეთის ცენტრის წარმომადგენლებმა დაიწყეს დამოკიდებულების დაკავება საბჭოთა რუსეთთან და მას შემდეგ მოყვა ინგლისის და გერმანიის დამოუკიდებლები. ამ მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთის ცენტრები ორ ბანაკათ გაიყვნენ, —უმრავლესობა კაშენისა და ფროსარის მეთაურობით გადაწყვეტილად დაადგა კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ ნაჩვენებ გზას. გედიზმის ტრადიციამ და საფრანგეთის რეაქციის ნათლად თავის ჩენამ ითამაშეს ამაში გადამწყვეტი როლი. ინგლისის ცენტრის წარმომადგენლების, რომლებსაც უოლიხედი თავმჯდომარეობდა, არ დასჭირებიათ დაუყოვნებლად გადაწყვეტილების გამოტანა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომ მუშათა მოძრაობა იქამდი განვითარდა, რომ ინგლისი თუ რუსეთის წინააღმდეგ ომს გამოაცხადებდა, მუშები საყოველთაო გაფიცვას მიჰმართავდენ. წითელი ჯარის პოლონეთთან მარცხის შემდეგ, ეს სულიერი განწყობილება ინგლისის მუშებში ისევ დაეცა. მისტერ უოლხედმა თავის თანამოაზრეებთან ერთად მოიტანა ინგლისში ისპოლკომის საპასუხო მიმართვა, სადაც ინგლისის მშრომელ-ხალხის წინაშე სათანადოთ იყო გამოაშკარავებული გაწეული თამაშობია. ისინი ამით დაიშვიდდენ ამგვარათ, ინტერნაციონალმა გაუმართა გადამწყვეტი შეტაკება ცენტრის მასიურ პარტიას—დამოუკიდებლებს.

დიტმანები და კრისპინები, რომელნიც თავის ქვეყანაში კომუნისტურ ინტერნაციონალის პროგრამას დრო გამოშვებით მარქსიზმის ლალატის ნიადაგზე კრიტიკულ შენიშვნას უკეთებენ, მოსკოვში ყოფნის დროს სდუმდენ როგორც მუნჯები და ან შეშფოთებული აცხადებდენ, რამდენადაც ჩვენ ვახერხებთ გარკვევას, უნდა ითქვას, რომ საერთოდ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო. ბრძოლის ცენტრალურ პუნქტათ, რეფორმისტების გერმანიის დამოუკიდებელ პარტიისაგან გამორიცხვის საკითხი იყო.

ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა მარტო გილფერდინგსა და დიტმანს, არამედ პროფკავშირებისა და რეფორმისტულ პარტიების ასობით წვრილ ბიუროკრატების და პარლამენტის ფრაქციის განსაზღვრულ ნაწილს, რომლებშიაც ვერ შეძლეს კომუნისტური ინტერნაციონალის პირობების განხორციელება და რომელნიც ყოველ საშუალებით სცდილობდენ, დახმარება გაეწიათ გილფერდინგსა და კაუცკისთვის. ამ ხალხის პოლიტიკისათვის ის კიდევ უფრო დიდი საფრთხე იყო ჯერ კომუნისტური ინტერნაციონალი უნდა შექმნილიყო არა სხვა და სხვა პარტიების შეუთავსებელ ნაწილების ფედერაციათ არამედ მთლიან ცენტრალურ ინტერნაციონალურ მებრძოლ პარტიის სახით.

ინტერნაციონალის კონსტიტუციის ასეთი ხასიათი იმათ ართმევდა ფრთხილ და სამუდამოთ ინტერნაციონალის კონგრესისა და ისპოლკომის დადგენილების შესრულების საქმეში საბოტაჟის საშუალებას. ამგვარათ მათი გეგმა ჩაიფუშა. ამიტომაც გალის ყრილობაზე ისინი გადავიდნენ პრინციპიალურ თავდასხმაზე კომუნისტურ ინტერნაციონალის წინააღმდეგ ცდილობდნენ ეს თავდასხმა ისე გამოეყურებინა როგორც შერევა რომანტიულ დაცინვისა უკიდურეს უპრინციპო ოპორტუნიზმთან. იმათ შეიწყნარეს პარტიიდან რევოლიუციონური მუშების გათიშვა, რათა პროფესიონალურ ბიუროკრატიასთან ერთობას სახელი არ წახდენოდა. ისინი დასდგენ ამსტერდამის ყვითელი ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მით ლეგიონების გენდერსონებთან ერთობით მოახდინეს ინტერნაციონალურ პროლეტარულ ბრძოლის პალადიუმი.

იმის შემდეგ რაც ცენტრის ინტერნაციონალთა ხროვის განზრახვამ, ემოქმედათ შიგნიდან კომუნისტურ ინტერნაციონალის წინააღმდეგ საბოტაჟით ამაოდ ჩაიარა, მათ დარჩათ ერთი საშუალება ან შეერთებოდენ მეორე ინტერნაციონალს და ან მის მაგივრად შეექმნათ ახალი. ეს ახალი გახდა 2½ ინტერნაციონალი, სადაც ისინი უკვე გადასახლდენ.

ქ. რადეკი

(შემდეგი იქნება)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიური ცხოვრება.

## სარწყავი არხები.

ქუთაისის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჰიდრო-ტეხნიკური სექციის მუშაობა სწარმოებს ძლიერ ინტენსიურათ. მათ შორის სარწყავი არხის გაყვანის გამოკვლევასთან ერთად დაიწყო მუშაობა მდინარე ცხენის წყლის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლათ. ეს მუშაობა სწარმოებს სასწრაფოთ, რადგან ცოტაოდენი დაყოვნებაც კი უქადდა არა მარტო ლეჩხუმის გზის გაფუჭებას, არამედ ჯებირების წალეკვასაც. ჰიდრო-ტეხნიკური სექციის გამგის ინჟინერ ფალკოვიჩის ინიციატივით უფრო საშიშ ადგილებზე გაკეთებულ იქნა წყლის უკუმქცევი წნელის დამბები და მთელი რიგი გოდორყურებისა. ორ მთავარ დამბის შენება უკვე დამთავრდა და ეხლა სწარმოებს სასწრაფო მუშაობა უკანასკნელ მესამე დამბის და გოდორყურების დამთავრებისთვის. ჰიდრო-ტეხნიკურმა სექციამ დაიწყო მუშაობა კუხაშ ლანირის სარწყავი არხის შესაკეთებლად, რომელიც აშენებული იყო ცუდი მეთვალყურეობით, რის გამოც ბევრს ადგილას სარწყავი ქსელი გაფუჭდა. განზრახულ 18,000 დესეტინის ნაცვლად ირწყვებოდა მხოლოდ ამის ნახევარი. ამ ჟამად ზოგიერთ ადგილებში შეაკეთეს არხი, რამაც სარწყავი მიწების სივრცე გაადიდა 500 დესეტინით. საერთოთ შესრულებულ იქნა 750 კუბ. საჟ. მიწის სამუშაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობა სწარმოებდა და სწარმოებს შრომის ნატურალურ ბეჯრის საფუძველზე. არხს გაადიდებენ 52 ვერსით.

ეხლა რიგში სდგას ქვიტკირ მაღლაკ ფარცხანაყანევის მიწების მორწყვის პროექტი. ამ დღეებში ინჟინრების სპეციალური კომისია საბოლოოდ გამოიმუშავებს არხის ხაზს.

### ხე-ტყის დამზადება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს ქუთაისის გუბერნიის სატყეო განყოფილებამ ხე-ტყის დამზადებაში გამოიჩინა საკმაო ენერგია. რაჭის რაიონში მოქმედება დაიწყო სააქციონერო საზოგადოება „მრეწველობამ“. ქუთაისში ჩასატანით დამზადებულია 4000 მორი. მორებს ჩაიტანენ ქუთაისში 1 ნოემბრამდე. აჯამეთის რაიონში რკინის გზის ხაზზე გაიტანეს 300 საჟენი შეშა, 800 ბოძი, 3,500 შპალი და 3000 არშინი მაგარი ჯიშის კოჭებისა.

ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზით გაიტანეს 300 საჟენი მორი, 3000 არშინი მაგარი ჯიშის კოჭები. ფოთის რაიონში დაამზადეს და გაიტანეს ბარჟებით 600 კ. ს., 5000 არშინი მაგარი და რბილი ხის ჯიშის კოჭები. ხეთის რაიონში დამზადებულია 700 ფუთი ბზის ხე და 5000 არშინი კოჭები. წაბლარ ხევის რაიონში გასატანათ დამზადებულია 134,000 კუბ. არშ. კოჭები. ამ რაოდენობიდან ფაბრიკაში გაიტანეს 40,000 კუბ. ვერშ. დამზადებულია აგრეთვე 2000 არშინი საამშენებლო მასალა და 7000 დასახეთქი ხე.

### საქარხნო მმართველობის სისტემა თამბაქოს ქარხნებში.

თამბაქოს მრეწველობის განყოფილებამ სასარგებლოთ მიიჩნია ერთპიროვან მმართველობის პრინციპი, მაგრამ გაუწია რა ანგარიში დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს, დაადგინა კოლეგიალური მმართველობა შემდეგი სახით: გაეროვნებულ ქარხნებში უნდა დაარსდეს კოლეგია კომპარტიის წარმომადგენელისაგან—თავმჯდომარეთ, ეკონომიურ განყოფილების წარმომადგენლისგან, საქარხნო კომიტეტის წევრთა რიცხვიდან და თამბაქოს მრეწველობის განყოფილების სპეციალისტ წარმომადგენლისაგან.

ეს კოლეგია თავმჯდომარის სახით პასუხს გებულია ქარხნის მდგომარეობის და წარმოების საქმეში. ჩამოურთმეველ ქარხნებისთვის, სასურველათ არის ცნობილი პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტროლის შემოღება.

### კავშირი პროვინციასთან.

ს. მ. უ. ს. თამბაქოს მრეწველობის განყოფილებამ საჭიროთ მიიჩნია აღნიშნული განყოფილების კავშირი პროვინციალურ თამბაქოს ქარხნებთან, ამიტომ განყოფილებამ დაადგინა, მიიღოს ყოველივე ზომები ამ კავშირის დასამყარებლად და წინადადება მისცა ადგილობრივ კავშირების ორგანოებს, რომ თვეში არა ნაკლებ ორჯელ გამოგზავნონ ხოლმე ცნობები თამბაქოს მრეწველობის განყოფილების კითხვების საპასუხოთ.

### მომარაგება.

ს. მ. უ. ს. თამბაქოს მრეწველობის ქვე-განყოფილებამ გადასწყვიტა თამბაქოს ქარხნების მომარაგება, რომელნიც არ არიან სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადებულნი, უნდა ხდებოდეს ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულებას იმუშავებენ ამ ქარხნების პატრონნი მეთამბაქოეთა კავშირის, თამბაქოს მრეწველობის განყოფილების და მომარაგების საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად.

## ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების რკ. გზებზე

წლევის განყოფილების მოღვაწეობის ანგარიშიდან ჩანს, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზების გაერთიანების დღიდან, რომელიც აპრილში მოხდა, ამ დროისთვის საქართველოს გზებზე იყო 106 ვარგისი და 191 უვარგისი ორთქლმავალი, სულ 297; აზერბეიჯანის გზებზე—87 ვარგისი და 167 უვარგისი ორთქლმავალი, სულ 254, სომხეთის გზებზე 8 ვარგისი და 80 უვარგისი, სულ 88; რათა ამიერ კავკასიის მთელ რკ. გზების ქსელზე სწორეთ სწარმოებდეს მიმოსვლა, ამიტომ მოგვიხდა ძალების გაერთიანება, ე. ი. ერთი გზიდან ორთქმავლები გადაგვეგზავნა მეორეზედ ასე გადაგზავნილ იქნა 14 ორთქმავალი სომხეთის რკინის გზებზე და 3 ორთქლმავალი აზერბეიჯანის გზებზე. თუ თვალს გადავავლებთ შრომის ნაყოფიერებას თვითეულ გზაზე ცალკე, მაშინ ჩვენ შევამჩნევთ დიდ გაუმჯობესებას. საქართველოს რკინის გზებზე 18 იანვრიდან აპრილის დამლევამდე კაპიტალურათ შეაკეთეს 5 ორთქმავალი, საშუალოდ შეაკეთეს 9 ორთქმავალი, შემთხვევით შეაკეთეს 109, ე. ი. საშუალოდ თვეში კაპიტალურად შეაკეთეს 1,25, საშუალოდ 2, 25, შემთხვევით შეაკეთეს 27 25 ორთქმავალი. აზერბაიჯანის რკინის გზებზე კაპიტალურად შეაკეთეს 6 ორთქლ., საშუალოდ შეაკეთეს 6 ორთქლ. და შემთხვევით—93 ორთქლ. ე. ი. საშუალოდ თვეში კაპიტალურად 1,5 ორთქლ., საშუალოდ 1,5 ორთქმავალი და შემთხვევით 24,5 ორთქმავალი. სომხეთის რკინის გზებზე კაპიტალურ და საშუალო შეკეთება არ ყოფილა ამიერ-კავკასიის სამივე გზების გაერთიანების შემდეგ. მაისში შეაკეთეს შემდეგი: კაპიტალურად 2 ორთქმავალი, საშუალოდ შეაკეთეს 12 ორთქლ. შემთხვევით—77 ორთქლმავალი. ზემოთ ნაჩვენები შეკეთება შესრულებულ იქნა ფრიად კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობის დროს. სომხეთის რკინის გზებზე ორთქლმავლების შეკეთება არა სწარმოებდა. ვაგონების შეკეთება საშუალოა. მთელი გზის საერთო წარმოება თვეში გაერთიანებამდის, იანვრიდან აპრილის დამლევამდის შემდეგ ნაირია: წლიურ გასინჯვის შემდეგ გამოუშვეს სამგზავრო ვაგონები 18,5, საშუალოთ შეკეთების შემდეგ გამოუშვეს—3 და მიმდინარედან—106 საქონლის ვაგონი, სამ წლიურ გასინჯვის შემდეგ 211,5 და მიმდინარე შეკეთების შემდეგ გამოუშვეს 1220.

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზების გაერთიანების შემდეგ მაისში წარმოება შემდეგნაირია: წლიურ გასინჯვის შემდეგ გამოუშვეს სამგზავრო ვაგონები 22, საშუალო შეკეთების შემდეგ—7, სპეციალურ შეკეთების შემდეგ—31. სამ წლიურ გასინჯვის შემდეგ გამოუშვეს საქონლის ვაგონი 180, სპეციალურ შეკეთების შემდეგ 33 და გასაახლებლად შეკეთების შემდეგ 17, მიმდინარე შეკეთების შემდეგ—3; ამგვარად გაერთიანებამდის სამგზავრო ვაგონების შეკეთება საღრიცხო ერთეულში გამოიხატა 116,8-ის რაოდენობით. ხოლო გაერთიანების შემდეგ 176,2 ე. ი. 59,4-ით მეტი საღრიცხო ერთეულებში, ხოლო საქონლის ვაგონების შეკეთება გაერთიანებამდის საღრიცხო ერთეულებში გამოიხატა 455,5, ხოლო გაერთიანების შემდეგ 395 ე. ი. 60-ით ნაკლები საღრიცხო ერთეულებში. შეკეთების გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა შემდეგმა გარემოებამ: მასალის და სათადარიგო ნაწილების უქონლობა, კვალიფიციურ ხელოსნების ნაკლულება, 110 ორთქლმავალის გადაკეთება, რომელნიც წინათ ნავთით ხურდებოდა და ახლა კი ნავთით ხურდება. მთავარ საწყობიდან მასალის თავის დროზე მოუტანლობა, სამხედრო უწყების შეკვეთების შესრულება, აფეთქებულ ხიდების შეკეთება და აგრეთვე ამიერ-კავკასიის მთელი სამხრეთ ხაზის აღდგენა, რომელიც ამ ჟამად ნახევრად დასრულებულია.

მიუხედავად ზემონაჩვენებ მიზეზებისა და დაბრკოლებათა შეგნებულ მუშების და მოსამსახურეების გაათკეცებულ მუშაობის წყალობით საბჭოთა ძალა უფლების გამოცხადების შემდეგ შრომის ნაყოფიერებამ იმატა 55 პროც-ით.

# ქრონიკა

**სახალხო განათლების კომისარიატში.** 29 ივნისს, სახალხო განათლების კომისარიატის შენობაში, შესდგა სასკოლო ჰასაკამდე აღმზრდელთა საორგანიზაციო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილების მიერ. კრებაზე მოხსენება გააკეთეს სოციალურ აღზრდის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ორახელაშვილმა და სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილების გამგემ ნ. ოკუჯავამ სოციალური აღზრდაზე და სახალხო განათლების კომისარიატის ამ დარგში მუშაობაზე მოხსენების მოსმენის შემდეგ მოხდა მომხსენებელთა და დამსწრეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოითქვა სურვილი ხშირად შეკრების შესახებ, რათა საერთოდ გაშუქებულ იქნას ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხები. მეორე კრება შესდგება დღეს, სამშაბათს, ივლისის 5-ს იმავე შენობაში. წაკითხულ იქნება მოხსენება ზაფხულისთვის საზაფხულო ახალშენებში მუშაობის შესახებ.

◆ **ახალი ჟურნალი.** ახლო მომავალში გამოვა ყოველ-კვირეული ორგანო ც. კ. რ. კ. პ—სა „საბჭოთა კავკასია“ ორგანოს მიზნები შემდეგია: ყოველ მხრივ გაშუქებულ იქნას ცხოვრება და მოქმედება კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა (აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის, მთიულების და აბხაზეთის) შეისწავლოს გამოცდილება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური და კულტურულ-განმანათლებელი და სხვა. მუშაობა თითეულ აღნიშნულ რესპუბლიკისა, გასაზოგადოება ამ გამოცდილებისა, რათა გაძლიერდეს მით პრაქტიკული კომუნისტური მუშაობა კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში.

ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები საერთო კავკასიის პოლიტიკის, პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური აღმშენებლობის და ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. შედარება და გამოკვლევა მთელი მოხდენილი მუშაობისა ყველა დარგებში თითეულ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. წერილები კავკასიის პარტიის ისტორიიდან და რევოლიუციონური ბრძოლის ეპიზოდები. ყოფა-ცხოვრების გადატეხა და ჩვეულების ცვლილება კავკასიის ხალხისა აგრეთვე იპოვის თავის ანარეკლს ჟურნალის ფურცლებზე.

◆ **ახალი გაზეთი** საქართველოს გზების პროფკავშირი შეუდგა ქართულ ენაზე „წითელ რკინის-გზელის“ გამოცემას.

◆ **ლტოლვილთა მოგზაურობის წესრიგი.** როსტოვის გზათა ოლქის უფროსმა შემდეგი ცნობა ოლქის და რკინის გზების უფროსებს: ლტოლვილთა გაგზავნა უნდა სწარმოებდეს შეთანხმებით ცენტრალურ საევაკუაციო განყოფილებასთან. საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ სხვა ორგანოს არა აქვს უფლება ლტოლვილების გაგზავნისა. ამისათვის ნებართვანი ლტოლვილთა გასაგზავნათ არ უნდა მიიღოს რკინის გზის ადმინისტრაციამ, როგორც ცალკ ცალკე და ჯგუფებათ გასაგზავნთ ისე მტადრე ცალკე ვაგონების. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლტოლვილთა დაფარულ მოგზაურობას ვითომ მუშების სახელით.

◆ **კურორტები.** სამსახურის საქმეების გამო მოგზაურობიდან ეხლახან დაბრუნებულ ბორჯომ-აბასთუმანის რაიონის კურორტების დირექტორი ექიმ ზანდუკელთან და სამხედრო კომისარ ამხ. გოლუასთან საუბრის დროს გამოირკვა, რომ კურორტებზე ამ ჟამად სწარმოებს ძლიერ ინტენსიური მუშაობა. საქართველოს რესპუბლიკის საკურორტო რაიონში გაგზავნილია კომისიები, კურორტების საჭიროების გამოსარკვევათ, აგრეთვე გაგზავნილია ტეხნიკური ძალები. ნაკლებობაა ინვენტარის და სურსათის, მაგრამ ამ სფეროების მდგომარეობა მაინც არ არის უნუგეშო, რადგანაც მოსალოდნელია სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესება. ავადმყოფთა მიღება, რომელთა რიცხვიც წელს არც ისე დიდია, დაიწყება ივლისის 5 დან.

◆ **რევიზია სოფლის რევკომებისა.** ხაშურიდან გვატყობინებენ: რევკომის მიერ დანიშნული სპეციალური კომისია რევკომის მდივნის თავმჯდომარეობით შეუდგა დეტალურ რევიზიას ხაშურის რაიონის ყველა რევკომებისას.

◆ **საბინაო ანკეტა.** თბილისის საქალაქო სტატისტიკური ბიურო სასწრაფო წესით ამუშავებს ქ. თბილისში საბინაო ანკეტას, რომლის საშუალებით გამორკვეული იქნება მცხოვრებთა შემჭიდროების ხარისხი, გაწესრიგება მისი წლოვანების, ეროვნების და პროფესიის მიხედვით და სხვა, აგრეთვე გაწესრიგება სახლებისა სანიტარულ მხრივ და მათი კეთილ მოწყობილების ხარისხი.

◆ **მილიციაში.** ქ. თბილისის მილიციის კომისარიატების სახელი შეცვლილია რაიონებათ და კომისარის სახელი რაიონების უფროსებათ.

◆ **ხელოვნების სასახლეში.** ოთხშაბათს რეჟისორმა ალ. წუწუნავამ ხელოვანთა სასახლეში წაიკითხა მოხსენება: „მსახიობის ხელოვნება“. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: გრიგოლ რობაქიძემ, ტიციან ტაბიძემ და აკაკი პაპავამ. განზრახულია ამ მოხსენების გაგრძელება შემდეგ ოთხშაბათისთვის.

— **აკადემია პოეზიის.** ხუთშაბათს, 7 ივლისს ხელოვნების სასახლეში მოხდება მორიგი სხდომა პოეზიის აკადემიის. მოხსენებას წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე—„ვალერი ნ გაფრინდაშვილის პოეზია“.

# მუშათა ცხოვრება

### მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა კრება

ივნისის 22 მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შინა მრეწველობის ქვე განყოფილების მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება შესდგა. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის შემადგენლობაში დამატებით აირჩიეს ამხ. ბეგუმოვი, აბაშიძე, კანდიდატ თ ჩოხელი, დამდგარ საკითხების გამო გამგეობამ დაადგინა: პირველ რიგში გაატარონ აბანოს მოწყობა. ამხ. კაზიმ რასის წინადადების თანახმად გადასწყვიტეს მოაწყონ აბანოები არა მარტო საზაფხულოდ, არამედ საზამთროთაც, ამხ. ალადაშვილის წინადადებით ქვე-განყოფილების წარმოების ასაწევად და მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხის შესახებ დაადგინეს: დაწესდეს მუშების შრომის ნარდით ხელფასი. კრებამ დაადგინა სატარიფო ფასი განმანაწილებელ კომისიის დაავალოს სასწრაფოდ შეიმუშაოს საკითხი მუშათა შრომის ნარდით ხელფასისა და წარუდგინოს პროფკავშირთა საბჭოს დასამტკიცებლად.

# პარტიული ცხოვრება

### წარმოებათა პოლიტკომების და საწარმოო პროფკავშირთა კომფრაქციის მდივნების თათბირი.

წარმოებათა პოლიტკომების და საწარმოო პროფკავშირთა კომფრაქციის მდივნების თათბირს დაესწრო 34 წარმომადგენელი. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხი: „პროფკავშირების როლი და დანიშნულება წარმოებაში“. კრება გახსნა ამხ. ვარდაშინ ნ. წინა სიტყვაობაში ის შეეხო იმ მძიმე მომენტს, რასაც ეხლა ჩვენ განვიცდით და მიუთითა შრომის ნაყოფიერების გადიდების დიად მნიშვნელობაზე.

ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. კანაძემ. მის მოხსენებაზე გაიმართა ცხარე კამათი. კრებამ გამოსთქვა შემდეგი სურვილი: ფაბრიკა-ქარხნებში ნორმების გაძლიერების ინტერესისათვის „კომიაჩეიკა“ ერთ და იმავე დროს საწარმოო „კომიაჩეიკასაც“ უნდა წარმოადგენდეს. მან თავის ცოცხალი მაგალითებით უნდა წაახალისოს სხვებიც. გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შრომის დეზერტირებსა და მუშაობის უბრალო გამცდენთ; კომიაჩეიკა საქარხნო საფაბრიკო კომიტეტებთან, პოლიტკომებთან და სხვა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად შეგნებით უნდა შეუდგეს ყოველ ამ საქ-

# ბრძოლა ეპიდემიასთან

**ჯანმრთელობის სახ. კომ. მოწოდება.**

ამხანაგებო და მოქალაქენო, ამ განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ქვეყანა განიცდის საშინელ ეკონომიურ კრიზისს, გვეწვია ხოლერა—ეს საშინელი მტერი ღატაკი ხალხის. აგერ უკვე თითქმის ოთხი წელიწადია, რაც მთელ რუსეთის მუშებს თავისი დაკოჟრებულ ხელებით მაგრათ უჭირავთ დროშა საბჭოთა ხელის უფლებისა და ამ მთელ დროის განმავლობაში მათ არ განუცდიათ დამარცხება არც ერთ ფრონტზე; უკანასკნელის სიმრავლეზე მგონია ექვი არავის შეექმნება. ვინ არ დაუმარცხებია, არ გაუნადგურებია ამ ავანგარდს საერთაშორისო რევოლიუციისას—რუსეთის პროლეტარიატს. მრავალ რიცხოვანი მისი მტრები, საგარეო და შინაური, შეიარაღებულნი ტყვიის მფრქვეველებით და ხიშტებით, დიდი ხანია უკვე შერცხვენილნი, თავზე ლაფ დასხმულნი და განადგურებულნი არიან. საერთაშორისო ბურჟუაზია, დამპალი ძირიან ფესვიანათ ყოველ ზომას ხმარობდა, რომ სიმშილის ხელებით ჩაეხრჩო მუშათა ხალხი, მაგრამ აქაც დაეჯახა შეუდრეკელ ძალას და სამარცხვინოთ გაიპარა. დღეს ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოს სცდილობს გაუსწროს მეორეს, რათა რაც შეიძლება მალე დასდოს ეკონომიური ხელშეკრულება რუსეთთან და თავისივე ნების ყოფის წინააღმდეგ მიაწოდოს ყოველნაირი მანქანა, საქონელი და სურსათ-სანოვაგე. საშინელ ეკონომიურ ნგრევის დროს, წარმოუდგენელ დაუძლურების ხანაში რაც ყოველთვის წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს ყოველგვარ სენისათვის, რუსეთი განიცდიდა ყოველნაირი ეპიდემიის საშინელ დღეებს და მათ შორის ხოლერის ეპიდემიის. მაგრამ ამ ბრძოლაშიაც არ შედრკა მუშა. მოკლე ხანში იგი ბოლოს უღებდა ამ მტერსაც და ძირშივე სპობდა ხოლერის და პარტახიან ტიფის ნასახს. რა იარაღს ხმარობდა რუსეთის პროლეტარიატი, რომ მისთვის საშიში არ არის უხილავი და თვალ ხილული მტერი. აი, ამხანაგებო, რა ეთის პროლეტარიატი დაუძლეველია უპირველეს ყოვლისა სულით, თავის სოლიდარული მუშაობით ყოველნაირ ფრონტებზე და თავისი შეგნებით, რომელიც გაცილებით წინ წაწეულია მთელ ამ რევოლიუციის ხანაში. ამხანაგებო, ჩვენი ნორჩი საბჭოთა საქართველო მეტად მძიმე დღეებს განიცდის, გარეშე ყოველივეს მას აკლია უმთავრესი არ ებობის საგანი, მას აკლია შური. იმპერიალისტურ ომის შედეგები და ბლოკადა არის მიზეზი: საყოველთაო გაღატაკებისა, სიმშილისა, ჭუჭყისა. ყველა ეს არის ერთგული მოკავშირე დასახელებულ სტუმრისა—აზიურ ხოლერისა. მაგრამ ხოლერა საშინელი არ არის, თუკი ჩვენ შეგნებით ვაწარმოვებთ მასთან ბრძოლას; თუ ერთად შეთანხმებით მოვკიდებთ ხელს მუშაობას. ყველასათვის საჭიროა ცოდნა, რომ უმთავრესი ორგანო, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეეყრება ხოლმე ხოლერა, არის პირი, ნუ დალევთ აუდუღარ წყალს, რადგანაც მასში ბუდობს გადამდები სენი და მას კი ჰკლავს ადუღება. ნუ შეჭამთ უმ ხილეულობას, ანდა არა სამედო საჭმელს, რადგანაც მათ შეუძლიათ მოშალონ კუჭ ნაწლევის ნორმალური მუშაობა და ამ შემთხვევაში კი ხოლერა უფრო ადვილად შეეყრება ადამიანს, დაიფარეთ საფარებელი ყოველივე მას, რასაც აჯდება ბუზი, რადგანაც თავისი პაწაწა თათებით გადააქვს ხოლერის სენი. დაიბანეთ ხშირ-ხშირათ ხელები, რადგანაც ეს უკანასკნელი ეხება საგნებს, რომელიც შესაძლებელია ხოლერიანი იყოს, უმთავრესად ბუზების წყალობით. გულმოდგინედ შეასრულეთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული ყველა ინსტრუქციები და წესები სანიტარული მუშაობისა. მიიღეთ აქტიური მონაწილეობა ქალ. სანიტარულ გასუფთავების კვირაში და წყლის მომარაგებაში, რომელიც გაიმართება ახლო მომავალში, და საკუთარი მაგალითებით ერთსულოვანი მუშაობაში გაიტაცეთ მცხოვრებთა საერთო მასები. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ნაჩვენები ზომები უსაქმო ფანტაზიორების გამოგონება კი არ არის, არამედ ნამდვილი მეცნიერულად დასაბუთებული გარანტია ხოლერისაგან თავის დაცვისათვის. შეასრულეთ ყველა იმას, რასაც მოითხოვს მეცნიერება —თქვენ ხოლერით არასოდეს გახდებით ავათ. თუ არ შეასრულებთ, უგდეთ მარჯვენა და მარცხენა გასცემლად დამნაშავეს და უდანაშაულოს, ყველამ ერთად მიჰკიდოთ ყველამ საერთოდ ხელი მუშაობას; ერთსულოვნად და მტკიცედ ვებრძოლოთ ადამიანის უსაშინელეს მტერს. მთელ ქვეყანას დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ გვეშინია არა ზომამდე, რომ ხოლერის არ გვეშინია და საკუთარის შეგნებული მოქცევით არ დაუშვებთ მისი აქ გავრცელებას. დავდგეთ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ავანგარდში საერთო მტრის განადგურების საქმეში.

თქვენ კი, ამხ. კომუნისტებო, თქვენ მუდამ იდექით თავგანწირულ მებრძოლ რიგში; ენტუზიაზმით აღფრთოვანებით თქვენს უკან მომავალს დიდებულ პროლეტარულ არმიას. თქვენ ყოველთვის და მუდამ პირველნი რჩებოდით ბრძოლის საშინელ ადგილებში და მამაცად იგერიებდით მტრის გაშმაგებულ, იყო ეს თუნდა სამხედრო ფრონტი, თუნდა დანგრეული ეკონომიური ფრონტი, ან თუგინდ ეპიდემიურ ავადმყოფობასთან საბრძოლველი ფრონტი. აშკარად დაანახვეთ ამხ. კომუნისტებო, დღესაც თქვენი გამოცდილება, ძალა და შეუპოვრობა. დღესაც ჩადექით მწყობრი რიგებით მუშათა მასების ავანგარდში, უსიტყვოდ შეასრულედ მეცნიერების და გამოცდილობის ყველა მოთხოვნილება, რადგანაც მაშინ მოგვეცემა საშუალება წინასწარად მივიღოთ ხოლერის განაჩენის საწინააღმდეგო ზომები და ძირიან ფესვიანად მოსპოთ. თვალები ქალაქის მცხოვრებთა მოპყრობილია თქვენსკენ; წაიყვანეთ იგი გამარჯვებისკენ. ერთსულოვანათ, ამხანაგებო, წინ ბრძოლისაკენ, არავითარი ხოლერა არ უნდა გაშინებდეთ, რადგანაც იგი ვერ გაუჩერდება გამანადგურებელ საერთო იერიშს. წინ ამხ. კომუნისტებო, ყველა ჩვენთვის საყვარელ მუშათა და გლეხთა საქართველოს ბედნიერებისათვის. წინ! წინ!

**ხოლერის მსვლელობა თბილისში.** ივლისის 1 დილის 9 საათიდან ივლისის 2 დილის 9 საათამდინ ავათ გახდა ხოლერით 14 კაცი, ამათგან გარდაიცვალა 1 ივლისს 1 კაცი.

29 ივლისის ავადმყოფნი გარდაიცვალა 2 ივლის 2 კაცი. 30 ივლისის ავადმყოფნი გარდაიცვალა 2 ივლისს 1 კაცი. წინეთ ნაჩვენები საეჭვოებიდან ბაქტერიოლოგიურათ ხოლერა აღმოჩნდა მიღებულს ივნისის 27—1 კაცს მიღებულს ივნისის 28—1 კაცს. მიღებულს ივნისის 29—1 კაცს.

**განაწილება უბნებზე:**

1 უბანში—1.—7. 2 პროც. 2 უბ.—0. 3 უბ.—0, 4 უბ.—0, 5 უბ.—0 6 უბ.—3,—21, 4 პროც. 7 უბ.—0 8 უბ.—1,—7,1 პროც. 9 უბ.—1,—7,1 პროც. 10 უბ.—0, 11 უბ.—0, 12 უბ.—1, 13 უბ.—0, 14 გამოურკვეველი 8.—57,2 პროც.

**კატეგორია საერთო ავათმყოფთა.**

კვალიფიციური მუშა—0 შავი მუშა—2,—14,3 პროც. მოსამსახურე 0, წითელი არმიელი—2,—14,3 პროც. დიასახლისი—4,—28,6 პროც. უსაქმო—4,—28,6 პროც. მწერალი—1,—7,1 პროც. გამოურკვეველი—1,—7,1 პროც.

**სადაურია ხოლერით ავათმყოფი.**

თბილისელი—7,—50,0 პროც. თბილისის გარეთ მცხოვ.—0, მეზობელ რესპუბლიკის—1,—7,1 პროც. რუსეთიდან ჩამოსული—2.—14,3 პროც. გამოურკვეველი—4,—28,6 პროც.

**წლოვანება.**

1—20 წლ.—2,—14,3 პროც. 21—25 წლ.—2,—14,3 პროც. 26—30 წლ.—1, 7,1 პროც. 31—40 წლ.—2,—14,3 პროც. 41—50 წლ.—1,—7,1 პროც. 51—60 წლ.—3.—21.4 პროც. 61—90 წლ.—1—7,2 პროც. გამოურკვევი—2,—14 3 პროც.

**დ ა ს კ ვ ნ ა:**

ამ დღის განმავლობაში ავათ გახდა სულ 14 კაცი. გარდაიცვალა 1 კაცი—7, 2 პროც. გარდაიცვალა 2 ივლისს მიღებული ავათმყოფთაგან—3, წინათ ნაჩვენები საეჭვოებიდან ბაქტერიალოგიური ხოლერა აღმოაჩნდა 3 კაცს.

სტატისტიკური განყოფილების გამგე (ხელმოწერილია).

ნაო და გარეშე მიზეზებს, რაც კი აფერხებს წარმოების საქმეს; უნდა მოხდეს მსხვილ წარმოებათა ნაწარმოების კონცენტრაცია; საჭიროა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მზრუნველობა მუშათა კოოპერატივების დაარსებით და მუშათა და გლეხთა შორის საქონლის გაცვლის ნორმალური მოგვარებით.

თათბირის სხდომა დახურა ინტერნაციონალის სიმღერით.

**მე-4 რაიონის კომიჩეიკის მდივანთა სხდომა.**

მე 4 რაიონის კომიჩეიკის პასუხისმგებელ მდივანთა მორიგ სხდომაზე, რომელსაც დაესწრო 30 ამხანაგი, აგრეთვე ალმ. კომ. წარმომადგენლები, ამხ. გორდაშიანმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება რაიკომის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საორგანიზაციო მუშაობა კომიჩეიკებთან და მათ ორგანიზაციებთან მჭიდრო და ცხოველი კავშირის დასამყარებლათ უკვე დამთავრებულია. შემდეგ მომხსენებელმა უჩვენა პრაქტიკულ საშვალებათა მთელი რიგი პარტიულ ამხანაგთა პოლიტიკურ შეგნების განსავითარებლათ. შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ზოგიერთ იაჩეიკათა გამოკლებით ყველა დანარჩენებში მუშაობა სწარმოებს ძლიერ სუსტათ, თუმცა უკვე დასახულია კულტურულ-განმანათლებელი და პოლიტიკურ მუშაობის სისტემატიური გეგმა, გეგმა ქალთა და ახალგაზრდა კომუნისტთა შორის მუშაობის შესახებ. ზოგიერთ იაჩეიკაში არსებობს მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ კომიტეტთან და ადმინისტრაციასთან მუშაობაში. ამის გარდა შეუდგენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შაბათობის მოწყობას.

კრებამ დაადგინა: შემდეგ სხდომაზე ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა თანახმათ მოსმენილ იქნას საკითხები, რომლებიც მოითხოვს განმარტებას.

**თიანეთი.**

1 თიბათვეს შესდგა თიანეთის მაზრის კომპარტიის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი, რომელმაც ამოირჩია ახალი სამაზრო კომიტეტის შემადგენლობა. სამაზრო კომიტეტი 2 ივნისს შეუდგა მუშაობას. სასწრაფო რიგში დაუგზავნა ინსტრუქციები სოფლის კომიაჩეიკებს ერწოს და პანკისის უბნებში, მუშაობის სასურველ ნიადაგზე დასაყენებლათ. შანსი კარგია. გლეხების და მუშების სიმპატია მთელი თავის სიდიადით ჩვენსკენ არის. ერწოში და პანკისში მოეწყო რევკომები, დანიშნულ იქმნენ პასუხისმგებელი მუშაკები. სამაზრო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რათა სასწრაფოთ გატარებულ იქნას ცხოვრებაში აგრარული რეფორმა, გადასდგა აგრეთვე ნაბიჯი კომუნალურ ნიადაგზე მუშაობის საწარმოებლათ. ყოფილი გძელიევის ბაღი ჩამოერთვა და გადაკეთდა ქალაქის ბაღად. გადაწყვეტილია ახალი თეატრის შენობის აგება, რისთვისაც უკვე შეუდგნენ მუშაობას. სამაზრო კომიტეტი ამჟამად ატარებს ცხოვრებაში წევრთა პერერეგისტრაციას და განაგებს მხოლოდ და მხოლოდ ორგანიზაციულ მუშაობას, რაც სასურველ ნიადაგზე სდგება.

ობოლაშვილი.

**ნაესაკოვის თემი**

ამა წლის 19 ივნისს ნაესაკოვის თემში შესდგა კომპარტიის კრება. ადგილობრივ შკოლის დარბაზში. თავმჯდომარის წინადადებით კრება იქმნა გახსნილი დილის 9 საათზე.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) ყოფილი რევკომის კონტროლის გაწევა.

2) მოხსენება მომენტის შესახებ და

3) მოხსენება რელიგიური ცერემონიის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ, კრებამ იმსჯელა და დაადგინა, ვინაიდან კრებას არ ევალება კონტროლის გაწევა, ამისათვის იქნას მოწვეული სენაკის მაზრიდან მუშათა და გლეხთა ინსპექცია, რომელიც განიხილავს ადგილობრივ რევკომის ანგარიშებს.

მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვასილ კაჭარავამ, რომელიც ვრცლად შეეხო რუსეთის რევოლიუციის აღორძინებას და მშრომელ ხალხის საბედნიეროდ, მის დამთავრებას. მან აღნიშნა და დაახასიათა, რომ დღითი დღე იზრდება და ვითარდება საერთაშორისო მუშურ გლეხური მოძრაობა მსოფლიო მაშტაბში. აღნიშნა აგრეთვე სოციალისტური საქართველოს ყოველივე მხარეები დღევანდელ მდგომარეობის მიხედვით. ბოლოს მოუწოდა კრებას მის დაცვისაკენ.

„რელიგიურ ცერემონიის" შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ირაკლი კიზირიამ. მცირე კამათის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია;

„მოისმინა რა კრებამ მოხსენება მიმდინარე მომენტზე ამხ. კაჭარავასი და რელიგიურ ცერემონიის შესახებ ამხ. კიზირიასი, კრებამ ერთხმად დაადგინა: ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ს. ს. ს. რ., რომელსაც მიზნათ აქვს დასახული საქ. მუშების განთავისუფლება ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ დამქაშებისაგან. მასთან ერთად სალამს უძღვნით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს მესამე ინტერნაციონალს და მის ხელმძღვანელთ.

თავმჯდომარის წინადადებით კრება იქმნა დახურული დღის პირველ საათზე.

ქიშიკო კიზირია.

# პროვინციაში

**თიანეთის მაზრა.**

ეს მაზრა მუშაობით ყოველ მხრივათ ჩამორჩენილია. პარტიული მუშაკები გამოცდილი ძლიერ ცოტაა და ამიტომაც პარტიული მუშაობა არ სდგას თავის შესაფერ ადგილზე.

აქაური რევკომებიც ძლიერ სუსტები ყოფილა. რევკომების ორგანიზაცია ჯერაც არ არის გადაცემული სოფლათ. თემებში რაიონებში დღიდან გადატრიალებისა რევკომს მთელი მუშაობა, მიზანი მოუნდომებია იმაზე თუ როგორ მოეწყო კომისარიატები რაიონებში სოფლათ. ამიტომაც ამას ძლიერ დიდი გავლენა მოუხდენია აქაურ მცხოვრებლებზე, და შეხვდებით ისეთ რაიონებს სადაც სულ არ იციან მოხდა თუ არა გადატრიალება ან რაიმე მსგავსი მისი. საერთოთ კი უნდა აღინიშნოს, რომ თიანეთის მაზრა სწავლის მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. აქ ძლიერ იშვიათად შეხვდებით სასწავლებლებს. მთელ მაზრაში ერთი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელია და რამდენიმე სოფლის სკოლა. კლუბებს, თეატრებს და სხვა ასეთებს ხომ სრულიად მოკლებულია, მთელ მაზრაში მხოლოდ შიგ თიანეთში არის კლუბი და თეატრი და სხვა რაიონებში კი არც ერთი. კულტურულათ ჩამორჩენილობამ ამ ხალხზე ძლიერ მოიმოქმედა. დღეს აქ ჩვეულებრივი მოვლენა არის ყაჩაღობა· ის, ვინც ყაჩაღათ გაიქცევა აქაური მცხოვრებლები „კარგ ვაჟკაცს" ეძახიან.

რევკომში დღევანდლამდე არც ერთი განყოფილება არ ყოფილა. მხოლოდ დღეს მოეწყო ყველა განყოფილებები თითქმის და სჩანს, რომ მუშაობა მომავალში კარგათ წავა. საერთოდ პარტიული მუშაობის შესახებ უნდა აღვნიშნო შემდეგი, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ იწყება, ძველათაც არალეგალურ პირობებშიაც ჩვენს პარტიას აქ არავითარი მუშაობა არ უწარმოებია, ამიტომაც ძვირათ შეხვდებით ისეთ რაიონებს, რომ რამე იცოდენ კომუნისტურ პარტიის.

საერთოთ მიტინგები, გლეხთა ყრილობები და სხვა ასეთები აქაური ხალხისთვის ახალი ხილი არის, ამას ვერ იცნობენ. მიტინგების კომპანია მხოლოდ ეხლა იწყობა და ხალხს გონია, რომ ეხლა მოხდა გადატრიალებაო.

სოფლად შეხვდებით სურვილს კომუნალურ ნიადაგზე დამუშავებისა მიწის, აქაური გლეხი გაიძახის: „ძმობა, ერთობა, კომუნა დამყარდა უნდა შევერთდეთო და შეერთებულათ ვიმუშაოთო, ეწყობა მეცხვარეების, მეძროხეების და სხვათა კომუნები. ეხლა ხაზი უნდა გაუსვა იმას თუ რას ამბობენ აქაური გლეხები კულტურულ მუშაობის შესახებ, სახელდობრ, თუ რაიმე უკმაყოფილებას შეხვდებით გლეხებისას სწორედ ამ ნიადაგზე; მაგალითად ზემო თიანეთის მცხოვრებმა ხალხმა ერთხმათ შემომძახა: მოგვეცით ცოდნა-განვითარება; წარსულში ჩვენ ყოველივე ამას მოკლებულნი ვიყავით, ეხლა ჩვენი მთავრობა არის და ამიტომაც ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რათა მთავრობამ მოგვაქციოს ყურადღება. მართლაც და როგორც ზევით აღვნიშნე აქ არ არის ჯერ კულტურული წრეები. როგორიცაა სცენის მოყვარეთა, მუსიკა, ხორო და სხვანი და თუ არის მხოლოდ შიგ თიანეთში, თვეში ერთხელ მოაწყობენ მიტინგ-კონცერტს. აქაური აგიტპუნქტი ხომ სულ არ მოქმედობს.

ხაშურელი მოსიკო.

**აგტაგლიის რაიონი.**

რომ იტყვიან დავიწყებული ქვეყანაო სწორედ აგტაგლიის რაიონია. არა მგონია ჩვენს სოციალისტურ საქართველოში მოიპოვებოდეს ასეთი მივიწყებული რაიონი, ის ჩამორჩენილია ყოველ მხრივ კულტურულათ, ადმინისტრატიულათ და საუბედუროთ პოლიტიკურადაც. ეს რაიონი შესდგება სამ თუ ოთხ საზოგადოებისაგან. მცხოვრები 30.000 აღემატება, უმეტესათ თათრებია. ის დღემდის შეერთებული იყო ყარაიაზის რაიონს და ერთი მილიციის უფროსი განაგებდა.

თბილისის რევკომის განკარგულებით აგტაგლიის რაიონი გამოუყვიათ ყარაიაზისაგან, მაგრამ საუბედუროთ ჯერ კიდევ ყარაიაზის მილიციის უფროსი ბ. ჩოლოყაშვილი განაგებს ხსენებულ რაიონს. ეს გახლავთ ხსენებულ ყარაიაზის რაიონის ძველი პრისტავი და მენშევიკურ მთავრობის იგივე ყარაიაზის უბნის მილიციის უფროსი.

აგტაგლის ზოგიერთი შეგნებული თათრები ლაპარაკობენ, ახალმა მთავრობამ თავისუფლათ ამოგვათქმევინა სული, მაგრამ ჩვენი პრისტავის ჩოლოკაევის ვერა გავიგეთ რაო, ნიკოლოზის დროსაც პრისტავი იყო, მენშევიკების დროსაც კომისარი და ეხლაც კიდევ კომისარიაო. და ხედავენ რა თათრები კიდევ ყარაიაზის რაიონში ძველ პრისტავს ჩოლოკაევს, დღესაც გაურბის ადმინისტრაციას. საჭიროა ასეთ რაიონებს სასწრაფო ყურადღება მიექცეს.

ვლ. ხონელი.

**ქ. ზუგდიდი.**

კვირას, 12 ივნისს აქ გაიმართა საბავშო ბაღის დაარსების გამო საზეიმო დღე. სანამ ბაღი გაიხსნებოდა, ხალხის მტრებმა წინასწარ ხმა გაავრცელეს თითქოს საბჭოთა მთავრობა მასკოვში გზავნიდეს ბავშვებს. მაგრამ მიუხედავად ასეთი საშინელი პროვოკაციისა და მასთან ცუდი ამინდისა, რომელიც იყო ბაღის გახსნის დღეს, მაინც ბავშვების საკმაო რიცხვი გამოცხადდა, ვინაიდან შეგნებულმა მშობლებმა კარგად იცოდენ, რომ ასეთი ჭორები სინამდვილეს მოკლებული იყო. საზეიმო დილის გახსნისას პირველი სიტყვა წარმოსთქვა ადგ. რევკომის თავმჯდომარემ ამხ. აკაკი ქავთარაძემ, რომელმაც აღნიშნა ხსენებული ჭორების უსაფუძვლობა და ის ფიზიკური და კულტურული აღმზრდელობა, რომელიც გამოიხატება ამ ბაღის სწორ ნიადაგზე დაყენებაში. პირველი სიტყვის შემდეგ ადგ. ხორომ ინტერნაციონალი შეასრულა. მეორე სიტყვით გამოვიდა სახალხო განათლების სახელით ამხ. მაბა კაკულია, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში საკმაოდ გაფანტა ყოველგვარი პროვოკაციული ხმები, და დაახასიათა ის ძვირფასი მიზანი, რომელიც დასახული აქვს ბავშვების მოვლას. მოხსენების შემდეგ როიალზე დაუკრა პატარაიამ ქალმა, ბოლოს ბავშვებმა ითამაშეს ლეკური და წაიკითხეს ლექსები. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა ბავშვებში დიდ აღფრთოვანებას ბადებს და ხალხიც სიხარულით ეგებება მას.

შორელი.

**სამტრედიის ავ-კარგი.**

სხვა უბედურებასთან ერთად სამტრედიას კვლავ ერთი დიდი უბედურება ეწვია. ეს არის საქონლის ჭირი. ცნობები მოდის, რომ უფრო ედება სოფლებს ეს სენი და გლეხის ერთად ერთს მარჯვენას, საქონელს ხოცავს. მართალია არის ერთი ბეითალი ექიმი სამტრედიაში, მაგრამ მოხუცია, ვერ დადის სოფლებში და ვერ ღებულობს დროზე ზომებს. საჭიროა ამას გაეწიოს დროზე ანგარიში.

— ხანგძლივი გვალვების შემდეგ მოვიდა წვიმა... ხალხი ძლიერ გაახარა ამან. ყველა ყანებს მოედო. ყველა მუშაობს, რაც ძალიან სასიხარულოა. შარშან ამ დროს საყანეებზე სიმინდი უკვე ამოსული იყო.

— ქურდობამ და ბაცაცობამ კვლავ წამოყო თავი. მილიციის უფროსი შეუდგა ზომების მიღებას, რომ აღმოფხვრას ეს ბოროტება... საჭიროა თვით ხალხმა ც დაეხმაროს მას ამ საქმეში.

ხან—კანი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დეკრეტი.**

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ.**

1. სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა ცალკე საუწყებო არქივები გაუქმდეს და ყველა მათი საქმეები და საბუთები ამიერიდან გადირიცხოს სახელმწიფო საარქივო ერთიან ფონდში.

2. სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობისათვის დაარსდეს სახალხო განათლების კომისარიატთან, როგორც მისი აკადემიური ცენტრის ნაწილი, საარქივო საქმეთა სამმართველო.

3. საარქივო საქმეთა სამმართველოს გამგეს ამტკიცებს სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრი.

4. სახელმწიფო დაწესებულებათ ევალებათ ყოველგვარი საარქივო საქმეები და მიწერ მოწერა, რომელიც დასრულებულია 1921 წ. თებერვლის 25 დე და მიმდინარე მუშაობის საჭიროებას არ წარმოადგენს, გადასცენ საარქივო საქმეთა სამმართველოს, ხოლო დანარჩენი დაუსრულებელი საქმეები უნდა დარჩეს მათ ხელში ყოველ უწყებისათვის ცალკე დებულებით განსაზღვრულ დრომდე, რომლის გასვლის შემდეგ ყველა საქმეები და საბუთები უნდა გადაეცეს იმავე საარქივო საქმეთა სამმართველოს.

5. სახელმწიფო დაწესებულებათ ეკრძალებათ ყოველგვარი საქმისა, მიწერმოწერისა ან ცალკე ქაღალდის მოსპობა საარქივო საქმეთა სამმართველოს წერილობითი ნებადაურთველად.

6. ამ მიზნით, რომ სამეცნიერო კლევა-ძიებისთვის გაადვილდეს არქივებით სარგებლობა და არქივები სათანადოთ შენახული და დაცულ იქნეს, სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები, უწყების დაგვარად, შეერთებულ იქნეს ცენტრალიზაციის საფუძველზე.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
სახალხო განათლების კომისარი
ა. თუმანიშვილი.
რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე
1921 წ. ივლისის 1.
ტფილისი—სასახლე.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.**

ცეცხლმქრობთა რაზმების ინსპექტორის მოხსენების თანახმად, უკანასკნელს დროს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებში ცეცხლის გაჩენის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ყოფილა კვამლსადენთა შეუკეთებლობა და მილებში მჭვარტლის ჩამოუწმენდლობა. ამისათვის, წინადადება ეძლევა ყველა სახლის პატრონებს, მათ მოურავებს, სახლის კომიტეტებს (დომკომებს), სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების და საბჭოთა სახლების გამგეებს, მათი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, დაუყონებლივ შეუდგნენ ყველა კვამლსადენთა შეკეთებას და მილების მჭვარტლისაგან გაწმენდას. აგრეთვე ამიერიდან მოახდინონ კვამლსადენთა დროგამოშვებითი დასუფთავებები: რესტორანებსა, პურის საცხობსა და საკანდიტეროებში თვეში ერთხელ, სამზარეულოებსა და სასაუზმოებში თვეში ორჯერ და საცხოვრებელ ბინებში წელიწადში ერთხელ. მათვე ეძლევათ წინადადება მიიღონ სასწრაფო ზომები, რათა ჩამოღებულ იქნეს ჩარდახებიდან სახლის სახურავებ ქვეშ მოთავსებული ყოველგვარი ნივთები და დაგროვილი მასალა; ამიერიდან აიკრძალოს ყველა ჩარდახებზე რაიმე საწყობის გამართვა.

თვალყურის დევნა ამ ბრძანების სისწორით შესრულებისათვის ევალება ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებათა ტეხნიკურ ქვე განყოფილებებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვირკველია.
კომუნალური განყოფილების გამგე
სიდამონიძე.

# ინსტრუქცია

**წესები სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებათა ბინებით დაკმაყოფილების შესახებ.**

1) სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა ბინებით დაკმაყოფილების საქმეს განაგებს ადგილობრივი კომუნალური განყოფილება და იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს, ადგილობრივი რევკომი.

2) კომუნალურ განყოფილებათა საბინაო ქვე-განყოფილებებს ევალებათ: ა) სამხედრო ნაწილისა თუ დაწესებულებებისაგან მიღება ყოველგვარ მოთხოვნილებათა ბინით დაკმაყოფილების შესახებ.

**შენიშვნა:** ყოველი მოთხოვნილება სამხედრო ნაწილისა თუ დაწესებულებისა უნდა იყოს შემოწმებული სამხედრო-საინჟინერო დისტანციისაგან, ბინის საჭირო სივრცისა და რაოდენობის აღნიშნით. აგრეთვე ყოველი ასეთი მოთხოვნილება უნდა იქნეს დადასტურებული მთხოვნელის მთავარ ან საოლქო სამხედრო სამმართველოსაგან.

ბ) გამორკვევა იმ ბინებისა, რომელთა გადაცემა შეიძლება სამხედრო ნაწილების ან დაწესებულებათათვის.

**შენიშვნა:** სასწავლებელთა, საავადმყოფოთა, და ფოსტა-ტელეგრაფის შენობები არ შეიძლება დაკავებულ იქნეს ჯარის ნაწილთა ან სამხედრო დაწესებულებათა მიერ.

გ. სამხედრო ნაწილთა თუ დაწესებულებათათვის გადაცემა ბინისა და მისივე უკან ჩაბარება განთავისუფლებისთანავე.

**შენიშვნა:** როგორც გადაცემა, ისე დაბრუნება უნდა ხდებოდეს აქტის შედგენით ბინის მდგომარეობის შესახებ, აქტი სდგება კომუნალურ განყოფილების, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სამხედრო-საინჟინერო დისტანციის და დაინტერესებულ სამხედრო ნაწილის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

დ) შემოწმება თუ რამდენად სარგებლიანად არის გამოყენებული ბინა, რომელიც უჭირავს სამხედრო ნაწილსა თუ დაწესებულებას.

**შენიშვნა:** სამხედრო საინჟინერო დისტანცია დროგამოშვებით ათვალიერებს ბინებს, რომლებიც უჭირავთ სამხედრო ნაწილებს ან დაწესებულებებს და მათი სარგებლიანათ გამოყენების შესახებ აწვდის ცნობებს ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებას.

3) სამხედრო ნაწილის ან სამხედრო დაწესებულების მიერ თავიანთ ბინის დაჭერის ან ბინათა გაცემის წესთა დარღვევის ყოველი შემთხვევა უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას.

3) სამხედრო ნაწილთა თუ დაწესებულებათა ბინით დაკმაყოფილების შესახებ აღძრული კითხვები უნდა წყდებოდეს ან ინსტრუქციის თანახმად ადგილობრივ კომუნალურ განყოფილების ან რევკომის მიერ სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბ. კვირკველია
კომუნალურ მეურნეობის მთავარი გამგე სიდამონიშვილი.
კომ. განყოფილების გამგე ნანეიშვილი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ნიკოლოზის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო ... ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო ... ბაზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო ... ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—...

მე-5-ე რაიონის ბიურო ... ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

# განცხადებანი

**პარტიული**

მე-4 რაიკომი აუწყებს მე-4 რაიონის კომიაჩეიკების ყველა მდივნებს, რომ სამშაბათს ა. წ. 5 ივლისს მე 4 რაიკომს დარბაზში (ოლღას ქ. № 29) საღამოს 6 საათზე შესდგება ყველა მდივნების თათბირი.

—

მე-4 რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს მე-4 რაიონის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ სამშაბათს 16 ივლისს საღამოს 6 საათზე არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება საერთო კრება.

—

მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს მე-4 რაიონის ყველა კომიაჩეიკების მდივნებს, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მოხსენებები, რომ თუ 5 ივლისის 6 საათამდე ეს ცნობები არ იქნება წარმოდგენილი, ისინი პარტიულ დისციპლინის წესით დასჯილი იქნებიან.

**სხვა და სხვა**

— იმ პირთ, რომელთაც განაცხადეს სურვილი ქ. თფილისში სახალხო მოსამართლის, გამომძიებლის ან სასამართლოს აღმასრულებელის თანამდებობის მიღების და არ აღნიშნეს თხოვნაში მისამართი, ვთხოვთ სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ქალაქ. რევკომის იუსტიციის განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქ № 32) და დასტოვონ თავისი მისამართი.

განყოფილების გამგე მარ. ჩხეიძე.
მდივანი ნ. მაჭუტაძე.

— დაკარგულია ესპანიის საკონსულოს მიერ ამხ. ანდრანიკ მკრტიანისთვის მიცემული მოწმობა № 5069.

# გაწვევის გადამდები ცენტრალური კომისიისაგან

თანახმად საქართველოს რევკომის ბრძანებისა ა. წ. 25 მაისიდან № 53, სამხედრო საზღვაო საქმეთა კომისარიატთან დაარსებულია გაწვევის გადამდები ცენტრალური კომისია სამხედრო ვალდებულთათვის.

საბჭოთა კერძო დაწესებულებების, სამმართველოებების და განყოფილებების პირთ საყოველთაოთ ეცნობებათ, რომ სამხედრო ვალდებულთათვის ცენტრალური გაწვევი კომისია უკვე შეუდგა განცხადებების და წინადადებების გარჩევას სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების, ან გადადების შუამდგომლობა უნდა გარდაიგზავნოს სათანადო სახალხო კომისარიატების შტაბში.

შუამდგომლობაში აუცილებლათ უნდა იყოს ნაჩვენები:

ა) რა თანამდებობაზე იმყოფება პირი, სპეციალისტობა და რა დროიდან,
ბ) რამდენი ხნით აღძრულია შუამდგომლობა ვადის გადადებაზე.
გ) დაბადების წელი.
ვ) რომელ ადგილიდან წარმოსდგება.
დ) სოციალური მდგომარეობა.

ყველა წინედ გაცემული მოწმობები ჯარში გასაწვევ ვადის გადადების შესახებ—გაუქმებულია და მათ მაგიერ საჭიროა აღებულ იქნეს მუდმივი მოწმობები სათანადო მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან, დაწესებულ ფორმის თანახმად ან ვადის გადიდების ცენტრალურ კომისიისაგან.

სამხედრო ვალდებულთა ცენტრალური გაწვევი გადამდებ კომისიის თავმჯდომარე დ. ბზიავა.

მდივანი ან. ჯილაშვილი

# ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სარედაქციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.